რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 22 ივნისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—8 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათ. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 78 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა. № 78

155

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ

პარტიული სტამბა.

პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ივდითი, შვილები ანტონიმოს, ალექსანდრე, კატო და მაშო; სიძეები: სამსონ გოკიტაძე, ეგნატე ქლენტი და რძლები ვასასი და დავარი ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობთ გარდაცვალებას

გიორგი ალექსანდრეს ძე გოგიბერიძისა

რომლის დასაფლავება მოხდა 18 ამა ივნისს, სოფელ ქვენობანს წმ. გიორგის ეკლესიაზე.

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ლეონტი ოთარის ძე და შვილი კარლუშა (ანდრია), მაზლები კოსტა, ივანე, არსენი ირაკლი და სამსონ ოთარის ძენი მამალაძენი ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

ვარო დავითის ასული მარტაშვილი-მამალაძის

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება კვირას, 25 ივნისს, სოფ. ხევში (გურია) წმ. გიორგის ეკ. გალავანში სადაც დაკრძალულია განსვენებული.

(3—1)

ახლო მომავალში დაიბეჭდება ნოე რამიშვილის ცნობილი წიგნი

„ისტორიული მატერიალიზმი"

ეს იქნება მეორე გამოცემა ავტორის მიერ შევსებული და შესწორებული.

წიგნი ეღირება დაახლოვებით **მანეთ ნახევარი.** მსურველებმა ეხლავე უნდა დაიკვეთონ, ვინაიდგან იბეჭდება განსაზღვრული რიცხვი. აგენტებს და ორგანიზაციებს დაეთმობა 20% გამოკლებით

4—2 წიგნს სცემს კანტორა „განათლება".

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

1-ლ რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ.

ხსნის მუშათა კლუბს გოტეს სახლში.

წევრათ მიიღება პარტიის წევრები და თანამგრძნობები. მოწყობილობის შესაძენათ და მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ წევრი იხდის წელიწადში 10 მანეთს.

პირველ ხანებში გაიმართება: ლექციები, საუბარი სხვა და სხვა კითხვებზე, ბიბლიოთეკა, საჩაიე და სინემატოგრაფი.

დააჩქარეთ ფულის შემოტანა. კლუბი გაიხსნება მოკლე ხანში.

1-ლი რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ მ. პ.

ხუთშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე,

მე-4 რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. კლუბის დარბაზში

(ლორის-მელიქოვის ქ., ქალების პირველი გიმნაზია) დანიშნულია **ლექცია** შემდეგ თემაზე:

„მუნიციპალური პლატფორმა"

1) რუსულად წაიკითხავს ამხ. ს. გარიბოვი, 2) ქართულად—ამხ. ნ. ხომერიკი, 3) სომხურად—ამხ. ა. აზატიანი. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

3—3 მეოთხე რაიონულ კოლექტივის საკლუბო კომისია.

ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი მეოთხე სამილიციო ნაწილისა

იმყოფება **შუა ბაზარში** (Армянскій баз.) ხოჯაფარუხოვის ქარვასლის პირდაპირ სადაც ძმ. რატიანების კანტორა არის. ყოველ დღე არიან იქ მორიგე კომიტეტის წევრები დილის 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე. სთხოვენ იმ ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიებში მივიდენ იქ და შეატანინონ სიაში. იქვე ღებულობენ ახალ წევრებს პარტიის და ჰყიდიან პარტიულ ლიტერატურას.

საარჩევნო ბიურო მე-8 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია პანახევიჩის ქუჩა № 38, მეორე კომერციულ სასწავლებელში. ღია 2—10 საათამდე. ბიურო ხელმძღვანელობს მთელ ჩუღურეთს.

რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-9 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქუჩა № 31) ტელეფონი 16—29. ყველა ის პირნი, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში ვთხოვთ გამოცხადდენ ჩასაწერათ საარჩევნო ბიუროში (რეუტოვის ქუჩა) ამხ. ლაბაურთან.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

სავალდებულო დადგენილება.

პირველ საჭიროების საგნების რაოდენობის სისწორით გამოსარკვევათ, ქალაქის სასურსათო კომიტეტი ამით აუწყებს ყველა მეპატრონეებს საწყობების, პარტიობით მოვაჭრე მაღაზიებისა და დუქნებისა, რომ ამიერიდან დაწყებული 26 ივნისიდან ამა წლისა ისინი **ვალდებულნი არიან კვირაში ერთხელ—ორშაბათობით წარმოადგინონ ცნობები თუ რამდენი პირველ-საჭიროების საგნები უწყვიათ მათ, მაგალითად:** ხორბალი, ფქვილი, სიმინდი, ფეტვი, ყოველგვარი მარცვლეული, შაქარი, ჩაი, ეთბო ძროხისა, ეთბო სამარხვო, კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, კვერცხი, ყოველგვარი თევზი, მარილი, სპიჩკა, სანთელი, საპონი, ქერის ჩალა, თივა, ბზე, ჟმიხი, შვრია, ზეთი, ხის ნახშირი და ნავთი.

ეს ცნობები უნდა წარმოდგენილ იქნას საუბნო სასურსათო კომიტეტის კანცელარიებში, განსაკუთრებულ ბლანკებზე, რომელიც უფასოთ იძლევა ამავე კანცელარიებში.

ვინც თავის დროზე არ წარმოადგენს ცნობებს, აგრეთვე ვინც ყალბ ცნობებს წარმოადგენს, დაისჯებიან თანახმათ 29 მუხლისა (დებ. სასჯელის შესახებ, რომელიც იბძირება მომრიგებელ მოსამართლის მიერ).

3—2

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი კ ი ვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირიჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
4. „ „ „ ქართ.	5 „
5. ძირს სოც. დემ. ბრაკეხი რუს.	20 „
6. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
7. ეგვიპ წიგნაკი ქართულად	20 „
8. საყოველთაო საარჩ. უფლება რუს.	15 „
9. ოთხი ძმა ქართულად	35 „
10. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
11. აგრარულ პროგრ. კრიტიკა რუს.	15 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოც. დემოკრ. რუს.	20 „
2. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
3. ნაც. კითხვა ნ. ჟორდანიასი ქართ.	
4. ს. დ. პ. სომხურად და თათრულად.	
5. დამფუძნებელი კრება თათრულად.	

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ლენინისტების მაქსიმალიზმი.

ლენინის და მისი მიმდევრების მაქსიმალიზმი კონტრ-რევოლიუციის კარებამდის მივიდენ და ისინიც მოულოდნელად ანარქისტულ გამოსვლებს აწყობენ. მათი ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედება რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ არევ დარევას იწვევს და რევოლიუციის გაღრმავება-განმტკიცებას შეუბრალებლათ ხელს უშლიან; რომ რუსეთის რევოლიუციის გაძლიერებას, რუსეთის რევოლიუციის ორგანიზაციულათ მავლელობას ლენინის მაქსიმალიზმი ძალზე დაბრკოლებას უჩენს—დღეს ეს არავისთვისაა საიდუმლო და საეჭვო აღარ არის. მრავალ ქალაქებში რესპუბლიკა გამოაცხადეს, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოების დაუკითხველათ მუშებს და ჯარს ქუჩისაკენ მოუწოდებენ და ამ გზით ცდილობენ ხალხში დეზორგანიზაციის შეტანას.

მათ ასეთ მოქმედებას წინ აღუდგა სრულიად რუსეთის ყველა რევოლიუციონური ორგანო და მათი საქციელი კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებათ გამოაცხადეს. მიუხედავათ ამისა ლენინი და მისი მიმდევრები თავისას არ იშლიან და ასეთი აღვირწახსნილი მოქმედება თფილისში დაიწყეს და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შეუკითხველათ საყარაულო ბათალიონს საჯარო კრებისაკენ მოუწოდეს და თავიანთ მაქსიმალისტურ ფრაზებით, უგვანო სექტანტიზმით, რომელიც ლენინის ძთავარ დამახასიათებელ თვისებათ ითვლება, არევ-დარევა შეიტანეს.

ამ სახით ლენინისტები საერთო ობიექტიურ მდგომარეობას საერთო სოციალურ ძალთაგან. წყობილებას არავითარ ანგარიშს არ უწევენ და მასას სოციალური რევოლიუციის მოხდენისაკენ მოუწოდებენ.

მაგრამ ჩვენ მუდამ და ყოველთვის მარქსიზმის ნიადაგზე ვდგევართ და ყველა სოციალურ მოვლენას ობიექტიური პირობების მიხედვით ვაფასებთ. კარლ მარქსი თავის „კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიის" წინასიტყვაობაში ამბობს: სოციალისტური რევოლიუცია თანდათანობით საზოგადოების იურიდიულს და პოლიტიკურ ზედნაშენს გადმოტრიალებას იწვევს, რომელიც თავისი მხრივ გამოწვეულია ეკონომიური საწარმოვო ძალთა [illegible] განვითარების.

ობიექტიური პირობების აბუჩათ აგდება ლენინელებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი ასე მოიქცენ 1905 წლის რევოლიუციის დროს და ასევე იქცევიან დღეს. მათ დავიწყებიათ, რომ მარქსისტული თვალსაზრისით სოციალური გადატრიალება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი სოციალისტური რევოლიუციაა, რომ ყოველი პოლიტიკური გადატრიალება არის სოციალური, მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ამ გადატრიალების დროს ძალაუფლება საზოგადოების უფლება მოკლებული, ახალი კლასების ხელში გადადის.

ყოველ შემთხვევაში ასეთი უფლების რევოლიუციონურ კლასების ხელში გადასვლა არ ნიშნავს, რომ იგი სრულიათ შეეფერებოდეს რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებას და ეს კლასები მზათ იყვნენ სოციალისტური რევოლიუციისათვის.

როგორც ვიცით, რუსეთის რევოლიუციონური კლასების ძალის ხელში ჩაგდების საქმე საერთაშორისო ომის მსვლელობამ მეტათ დააჩქარა და რუსეთის პროლეტარიატი ჯარისკაცებთან და გლეხკაცებთან ერთად პოლიტიკური ცხოვრების ბატონ პატრონათ გადაიქცა. თვით კაუცკი თავის „სოციალურ რევოლიუციის" წიგნში სწერს: ომი ხშირათ და ძალიან ხშირათ პროლეტარიატის ხელში პოლიტიკური ძალის ჩაგდების საქმეს აჩქარებს და იგი რევოლიუციის დამჩქარებელი ფაქტორია. არსებობს პოლიტიკური სიტუაცია, როცა რევოლიუციის მოხდენა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ის კლასები, რომელნიც რევოლიუციას ახდენს ხშირად განუვითარებელი და სუსტია, მათ არ შესწევთ იმდენი ძალა, რომ არსებული რეჟიმი დაამხონ. ამ შემთხვევაში ომი ასეთ ძალთა განწყობილებას რევოლიუციონურ კლასების სასარგებლოთ სცვლის და უკანასკნელნიც რევოლიუციას ახდენენ. კაუცკის აზრით საგარეო ომმა შეარყია ნაპოლეონ მესამის ბატონობა და იქვე ამბობს—საგარეო ომმავე შეარყევს ნიკოლოზ მეორის ბატონობას.

ეხლა გარეშე მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლიუციამ დააჩქარა და საუკუნოებით შემუშავებულ ძველ მონარქიულ წყობილებას სამუდამოთ ბოლო მოუღო. მაგრამ იგივე კაუცკი სწერს, რომ ჩვეულებრივ საგარეო ომით გამოწვეული რევოლიუცია ხშირათ იმის მომასწავებელია, რომ რევოლიუციონური კლასები ჯეროვნათ არ არიან დარაზმულები და უკანასკნელი გარემოება კი ხშირათ რევოლიუციას საფრთხეს უმზადებს და რევოლიუციის გაღრმავებას აბრკოლებს. 1870—1871 წლის ომის მიერ გამოწვეულმა რევოლიუციამ, პარიზის კომუნა დღემოკლე გახადა და იგი ჯეროვან ნიადაგზე არ იქნა დაყენებული, რამაც კომუნის არსებობას ბოლო მოუღო.

ლენინი და მისი ამყოლ-დამყოლნი არც ისტორიას, არც საზოგადოებრივ ურთიერთობას ანგარიშს არ უწევენ და სოციალიზმის გზაზე დადგომას გვირჩევენ. მაგრამ დავიწყებიათ, რომ რუსეთის რევოლიუციას მრავალი საჭირბოროტო საკითხები აქვს მოსაწესრიგებელი და ლენინისა და მისი მიმდევრების მაქსიმალისტური ფრაზები ობიექტიურ პირობებს, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას ულტრა-რევოლიუციონურ ფრაზებით ვერ გადასწყვეტენ და მით სოციალიზმის სამეფოში ვერ გადაგვისვრიან. ფართო დემოკრატიული პირობების დამყარება საშუალებას მოგვცემს ობიექტიური პირობები და სოციალური ძალთა განწყობილება დავამზადოთ, რევოლიუცია გავაღრმავოთ და ამ გზით დავუახლოვდეთ იმ სანატრელ მდგომარეობას, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

ბოლშევიკები კი ამას არ დაგიდევენ, ისინი ანარქისტულ გამოსვლებით და გაბერილი ფრაზებით ცდილობენ არსებულ რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციათ გარდაქმნას, მაგრამ მათი მოქმედება ხალხს ანარქიის, კონტრ-რევოლიუციისაკენ მიაქანებს და არა სოციალიზმისაკენ.

საქალაქო არჩევნების გამო.

თფილისის საქალაქო არჩევნები 30 ივნისს დაიწყება და შეუდგებიან თვითმართველობის ხმოსნების არჩევას, ამ დღეს თფილისის დემოკრატიამ განურჩევლათ სქესის და ეროვნების დემოკრატიის ინტერესების დამცველ სოციალ-დემოკრატიული პლატფორმისა და მის მიერ წამოყენებულ კანდიდატების გარშემო უნდა მოიყარონ თავი და ხალხის ნამდვილი გულშემატკივრები აირჩიონ.

თფილისის დემოკრატია მუდამ და ყოველთვის ინტერნაციონალურ პარტიის გარშემო იყრიდა თავს და სოციალ-დემოკრატების დროშის ქვეშ გამოდიოდა. არ მომხდარა არც ერთი სახელმწიფო დუმის არჩევნები, როცა თფილისის დემოკრატიას დემოკრატიული პრინციპებისთვის ეღალატოს და ინტერნაციონალური პარტიის წარმომადგენლისათვის ხმა არ მიეცათ. დემოკრატიის პრინციპები მათთვის მუდამ წმინდათა-წმინდათ ითვლებოდა და დროს და გარემოების მიხედვით ახორციელებდენ მას.

ახლა როცა—რუსეთის დიდ რევოლიუციის მეოხებით ბურჟუაზიული და პრივილეგიური საარჩევნო უფლება მოისპო და დემოკრატიის მამრობითი და მდედრობითი სქესი შეძლებულ კლასებს უფლებრივათ გაუთანასწორდა—იმედია თფილისის ღარიბი მცხოვრებნი ფართოთ ისარგებლებენ რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებით და პლუტოკრატიის ბატონობას ქალაქის საქმეებში ბოლოს მოუღებენ.

ქალაქის თვითმართველობა—ეს ისეთი ორგანოა, სადაც გაბატონებული კლასების—განსაკუთრებით პლუტოკრატიის მისწრაფებანი საზოგადოებრივ საქმეებში აშკარათ გამოჩნდება და მათი ვიწრო კლასობრივი ინტერესები სათლათ იხატება. აქ ადვილი იქნება პლუტოკრატიის ფარისევლობა და ყველასათვის ცხადი ხდება, თუ ისინი საქმით როგორ ზრუნავენ ღარიბ, ეკონომიურათ შევიწროებულ კლასებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის.

თფილისის დემოკრატიამ ძალიან კარგათ იცის მათი ოინები, პლუტოკრატიის საქმიანობის შედეგები.

ამდენიმე ათეული წელიწადია, რაც თფილისის თვითმართველობაში პლუტოკრატიამ, დიდ სახლებისა და სავაჭროების პატრონებმა მოიყარეს თავი და მუნიციპალურ საქმეებს ამ ერთი მუჭა ხალხის სასარგებლოთ აწარმოებდენ. ქალაქის გამშვენიერება, მიმოსვლა, ჰიგიენა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალურ კანონმდებლობა, უმთავრესათ შეძლებულ კლასების სასარგებლოთ ხდებოდა და განაპირა უბნების მცხოვრებზე, შეუძლებელ კლასებზე ნამეტან ცოტას ზრუნავდენ და სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ. ამიტომაც არის დღეს ქალაქის თვითმართველობების საოჯახო ნაწილები, მონოპოლიური წარმოების დარგები, ჰიგიენა და სოციალური კანონმდებლობა განვითარების პირველ სტადიაში იმყოფება. უკანასკნელმა გარემოებამ ქალაქის მცხოვრებთა შეუძლებელი ნაწილი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა და ამ ომის ხანაში ისინი არაჩვეულებრივ გაჭირვებას განიცდიან. დემოკრატიის საქმეები თვით დემოკრატიამვე უნდა გააკეთოს, პლუტოკრატია მას მოსარჩლეობას ვერ გაუწევს. ამიტომ თფილისის დემოკრატია ოცდაათი ივნისისთვის უნდა დაირაზმოს, ორგანიზაციულათ შეკავშირდეს და გაიყვანოს ისეთი პარტიის წარმომადგენლები, ისეთი დემოკრატიული ხმოსნები, რომლებიც დიდი ხანია თფილისის ღარიბ მცხოვრებთა ინტერესებს ერთგულათ იცავდა და ახლაც ერთგულათ დაიცავს. ემზადებით 30 ივნისის არჩევნებისათვის!

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 19—20 ივნისი).

მანქანებზე ფასების დადება.

პეტროგრადი. (დაგვიანებული). დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა კერძო ქარხნებიდან სამეურნეო მანქანების გახაწილების და მასზე მაგარი ფასების დადების დროებითი წესები. ფასები ასეთი იქნება: რუსეთში გაკეთებული მანქანები გაიყიდება 1913—1914 წლის პრეისკურანტის ფასებში 120 პროც. დამატებით, ხოლო საზღვარ გარეთის მანქანებს უმატება 150 პროც.

დუმის წევრთა თათბირი.

პეტროგრადი. როძიანკოს თავმჯდომარეობით იყო დუმის წევრთა თათბირი, რომელზედაც განიხილეს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია დუმის გაუქმების შესახებ. თათბირობის დროს ამ კითხვის განხილვამდე, როძიანკოს აზრით საჭირო იყო დუმის თათბირს გამოეტანა რეზოლუცია. რეზოლუცია გამოიტანეს, მაგრამ მისის თავჯდომარემ საკითხი ახსნა და როდის გაირჩევა არ იციან. დუმის წევრმა პეპელიაევმა განაცხადა, რომ რუსეთის დახსნა მხოლოდ შეტევის დაწყებით შეიძლება. შულგინმა, ჩიხაჩევმა, დუროვმა პერეცემ და პეპელიაევმა განაცხადეს, რომ ჩვენი ვალია ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და კიდეც გადასწყვიტეს ფრონტზე წასვლა (ტაში). ფრონტიდან დაბრუნებულმა პურიშკევიჩმა მოახსენა წაიკითხა იქაურ მდგომარეობის შესახებ. კამათის დროს სხვათა შორის როდიჩევმა სთქვა: ჩვენი არსებობა საჭიროა იმისთვის, რომ ასეთ საშიშ მდგომარეობის დროს ქვეყნის გაერთიანებას ხელი შევუწყოთ. სახელმწიფო დუმა ერთობის და განუყოფლობის გამომხატველი უნდა იყოს. ჩვენ გვაქვს 28 თებერვლის და 1 მარტის გადაცემები. ამის ხსოვნა არ ამოიფხრება რუსეთის ხალხის ისტორიიდან. ჩვენ სახელმწიფო დუმის წევრებმა მტკიცეთ უნდა შევინახოთ დიდებულ დღეების ხსოვნა და ყურადღება არ მივაქციოთ ([illegible]) იმას, რომ თითქო ჩვენ წარმოვადგენთ კლასობრივ ინტერესებს. ჩვენ ხმა მაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა კერძო ინტერესები, არამედ მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი გვაერთებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ვალია მტკიცეთ გვწამდეს რუსეთის განთავისუფლება და დამფუძნებელ კრებამდე ახალ წესების შემოღება. ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ იმ პირებს, რომლების წყალობით შესაძლებელი იქნება შემოქმედების უფლება (ტაში). როძიანკოს წინადადებით დუმა მხარს უჭერს როდიჩევს. სახელმწიფო დუმის დროებით კომიტეტში შევიდნენ: ვერშინინი, ხაუსტოვი და რჟევსკი. როძიანკოს წინადადებით კომიტეტი უნდა გაფართოვდეს. დამატებით აირჩიეს: შუბლიკოვი, ევსეევი, კონოვალოვი, ლვოვი, სავიჩევი, ველიხოვი, თავ. ვასილჩიკოვი, და კინდიაკოვი.

ჯარების მანიფესტაცია.

ჰელსინგფორსი. გუშინ ჯარებმა მშვიდობიანი მანიფესტაცია მოახდინეს. დღისით გემებზე წითელი დროშები აღმართეს.

პროვოკატორი.

პარიზი. რუსეთის ელჩომ 23 მარტს დაბეჭდა, რომ პარიზში რუსეთის საიდუმლო პოლიციის კანცელარიაში რაპის კომისია და ემიგრანტების წარმომადგენელნი შეუდგნენ საქმეების გადასინჯვას. აღმოაჩინეს პროვოკატორი ექიმი ჟიტომირსკი, რომელიც 15 წელიწადი ყოფილა საიდუმლო პოლიციის აგენტათ.

გაფიცვა.

ჰელსინგფორსი. სტამბების გაფიცვა მთელ ქვეყანას ედება. გაიფიცნენ მილიციონერები. საპოლიციო სამმართველოები დაიხურა.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი ოფიციალური ცნობა ბანაკიდან. დასავლეთის ფრონტი, კოველის მიმართულებით რუდკა—სიტოვიჩესკის რაიონში ჩვენმა ზვერავებმა ოთხი აფიცრის წინამძღოლობით დასწყვიტეს ნაღმებით რკინის ხლართები, შეიჭრნენ მტრის სანგრებში, დახოცეს და ტყვეთ წამოიყვანეს მრავალი ჯარისკაცი. ტყვეების სიტყვით ავსტრიელებმა ჩვენი შეტევის შესახებ ყველაფერი გაიგეს გაქცეულ უნტერ-აფიცერ კირიჩკინის და ჯარისკაც კოლოტვინოვის ცნობით. ეძიებენ რომელ გუბერნიის მცხოვრებნი არიან ეს ჯარის კაცები. ზლოჩევსკის მიმართულებით ორი დღის ზარბაზნების სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ავსტრო-გერმანელებზე კონიუხა და ბიშკოვის ფრონტზე. გახურებულ ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს თხრილების სამი ხაზი და მდინარე კონიუხსკენ გაიწიეს. 18 ივნისის ბრძოლაში ტყვეთ წამოიყვანეს 164 აფიცერი და 8300 ჯარისკაცი, ხელთ იგდეს 7 ზარბაზანი და 7 ტყვიისმფრქვეველი. ტყვეები კიდევ მოჰყავთ. ბრზეჟანის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მედგარ იერიშის შემდეგ ალაგ-ალაგ ხელთ იგდო გამაგრებული ადგილები. ნემცები და ოსმალები კონტრ-იერიშით მოდიან, მაგრამ ამაოდ. 18 ივნისს ტყვეთ ჩაიგდეს 9 აფიცერი და 1700 გერმანელი, ავსტრიელი და ოსმალო. ჩვენი ჯარის ზოგიერთი ნაწილები საგრძნობლათ დაზარალდნენ, უმთავრესათ აფიცრები. მთლად 18 ივნისის ბრძოლის შემდეგ ტყვეთ ჩაიგდეს 173 აფიცერი და 10 ათასი ჯარისკაცზე მეტი. ხელთ იგდეს 7 ზარბაზანი და 7 ტყვიის მფრქვეველი.

რუმინიის ასპარეზი—სროლაა.

კავკასიის ასპარეზი: ჩვენმა ჯარებმა ოსმალები პენჯვინისკენ გარეკეს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სოფ. ინგიჯა (ვერიბრის ტბის ჩრდილოეთით) და კალა მიროვანის სიმაგრე დაიჭირა.

მფრინავების მოქმედება. ჰაერის ხომალდი „ილია მურომეცმა“ 18 ფუთი ყუმბარა ჩამოაგდო მტრის პოზიციის უკან, ხომალდს 5 ბრძოლა მოუხდა ჰაერში. ერთ ბრძოლაში მტრის 8 ჰაეროპლანი დაესხა. ხომალდის [illegible], პორუჩიკი შაროვი, კაპიტანი ბაშკო, ჩი, პორუჩიკი ლუცი და ჯარისკაცი რედკო, მიუხედავად იმისა, რომ პორუჩიკი შაროვი მძიმეთ იყო დაჭრილი მან შესძლო ხომალდი თავის პოზიციამდე მიეყვანა და ძირს ჩამოსულიყო.

პარიზი. ოფიციალური ცნობა. სენ კანტენის ჩრდილოეთით გრიკურის რაიონში იერიშით მოსულ გერმანელებს უკან დაახევინეს. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურის და მორტომის ტყეების შუა ორივე მხარე გაძლიერებით ისროდა ზარბაზნებს. მორტომის ჩრდილოეთით კალმებზე გერმანელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ჩვენ წამოიყვანეთ 20 ტყვე, მათგან 3 აფიცერი.

გავრი. ბელგიის მთავარ სადგომის ოფიციალური ცნობა. მთელი ღამის განმავლობაში მტერმა იერიში მიიტანა მაბონის სახლის ახლო მოწინავე ადგილებზე, მაგრამ უკუაგდეს. სტიენსტრატესა და ჰეტსასის რაიონში გერმანელებმა გააძლიერეს ზარბაზნების სროლა.

პარიზი. მახლობელ აღმოსავლეთში მოქმედების შესახებ ოფიციალური ცნობა: პატარა შეტაკებები და ორივე მხრიდან ზარბაზნების სროლა.

ლონდონი. საფრანგეთში ბრიტანეთის მთავარ სადგომის ოფიციალური ცნობა: საღამოს ლანსის სამხრეთით წვეწვიმით, გუშინ მფრინავებს შეტაკება მოუხდათ მტრისთან და ხუთი მათი მფრინავი ძირს ჩამოაგდეს.

პეტროგრადი. 20 ივნისი. ზლოჩევსკის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. 19 ივნისს, ცხარე ბრძოლის შემდეგ ზარეცკის პოლკმა აიღო სოფ. პრიპოვცი. ფინლიანდიის მეოთხე დივიზიამ დაიპყრო გამაგრებული ადგილები და გაარღვია თხრილების სამი რიგი. ფინლიანდელებმა ტყვეთ წამოიყვანეს 1560 აფიცერი და ჯარისკაცი, 4 ზარბაზანი, 9 ტყვიის მფრქვეველი და 1 ნაღმის მფრქვეველი. ჩეხო-სლოვაკთა ბრიგადამ ტყვეთ წამოიყვანა 62 აფიცერი და 3150 ჯარისკაცი, 15 ზარბაზანი, ბევრი ტყვიის მფრქვეველი. აიღეს აგრეთვე იოზეფოვკის დასავლეთით სიმაგრე. 19 ივნისს ზლოჩევსკის მიმართულებით ტყვეთ წამოიყვანეს 6300 აფიცერი და ჯარისკაცი 21 ზარბაზანი, 16 ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე ნაღმის მფრქვეველი. ტყვეები კიდევ მოჰყავთ. ბრძოლა გრძელდება. 18 ივნისის ბრძოლაში ტყვეთ წამოიყვანეს 53 აფიცერი 2000 ჯარის კაცი. ფრონტის დანარჩენ ადგილზე სროლაა.

ახალი ამბები

შეიარაღებული თავდასხმა ბორჯომში. როგორც დეპეშით გვატყობინებენ, 20 ივნისს გაუძარცვავთ შტიტერის შუშის ქარხნის მოლარე. წაუღიათ 3,500 მან. და მოუკლავთ მეეტლე მაღრაძე.

◆ **საქალაქო არჩევნები.** თფილისის ახალი საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მოხდება 30 ივნისს. საარჩევნო სიების განსახილველ პირველ დღეთ ქალაქის საარჩევნო კომიტეტმა 23 ივნისი დანიშნა. ამის შემდეგ საარჩევნო სიები 5 დღის განმავლობაში გამოკიდებული იქნება ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში—12 ადგილას, საარჩევნო ბიუროთა სადგომებში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი გადათვალიერება, თუ ვინმე გამოტოვებული იქნება, უნდა განაცხადოს პირადათ ან წერილობით. ხმოსნების კანდიდატების სია უნდა წარდგენილ იქნას 12 და 20 ივნისამდე; სიები უნდა გადაეცეს ქალაქის თავს. საარჩევნო ბარათები მცხოვრებთ დაურიგდებათ საგანგებოთ მიწვეულ ფოსტალიონთა ხელით, რასაც კონტროლს გაუწევენ საუბნო კომიტეტების წევრები.

◆ **საარჩევნო კრება.** 20 ივნისს მეორე ს.-დ. საარჩევნო კომიტეტის სადგომში (ქვაშვეთის ქ. № 9) შესდგა ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა კრება. კრებას 130 მდე წევრი დაესწრო. მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის წევრის მოხსენება არჩევნების შესახებ. კრებაზე სურვილი გამოითქვა, რათა რაც შეიძლება მეტი წიგნაკები იქნას გავრცელებული ამომრჩევლებს შორის, რომლითაც საშუალება გვექნება ფართოთ გავავრცელოთ ხალხში სოც. დემ. მუშათა პარტიის შეხედულება არჩევნებზე და საზოგადოთ ქალაქის საქმეებზე. ამხ. აბდუშელიშვილის წინადადებით იქვე კრებაზე შეკრიბეს 146 მ. 50 კ., რომლითაც შედგენილი იქნება შესაფერი ლიტერატურა ხალხში უფასოთ გასავრცელებლად.

◆ **ბაქოს სამრეწველო რაიონის** კომისარათ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დანიშნა ისითორემაშვილი, რომელსაც უფლება მიეცა მოიწვიოს ერთი თანაშემწე და ორი ინსტრუქტორი.

◆ **კრება** ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე სასახლეში მუშათა კომისიის სადგომში მოხდება კრება იმ კომისიის წევრებისა, რომლებიც არჩეული არიან მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა მიერ ორივე ფრაქციის შეერთების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

◆ **ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს** [illegible] კონსტანტინეს ძე ალშიბაია, ალშიბაიას [illegible] ჩამოართვეს, რომ ზუგდიდს დასტოვებს 18 ივნისს და თუ ეს არ შესრულდა, ის დაპატიმრებული იქნება.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა საერთო მიტინგი.** სადარაჯო ბათალიონის საროტო კომიტეტების კრებამ მოისმინა რა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დადგენილება იმ მიტინგის მოწვევის შესახებ, რომელიც სადარაჯო ბათალიონის მიერ დანიშნული იყო 21 ივნისისათვის, დაადგინა: 21 ივნისს მიტინგი არ მოეწყოს. ამასთანავე ეთხოვოს აღმასრულებელ კომიტეტს მოწვეულ იქნას მუშების და ჯარისკაცების საერთო მიტინგი არა უგვიანეს 25 ივნისისა შემდეგ საკითხებზე სალაპარაკოთ: კერენსკის ბრძანებანი მტერზე თავდასხმის შესახებ, მინდვრების დამუშავება და ჯარისკაცების დასასვენებლათ განთავისუფლება.

◆ **პროვოკატორები თფილისში.** უკანასკნელ დღეებში თფილისის ზოგიერთ უბანში ადგილი ჰქონდა თითო-ოროლა პროვოკატორის გამოსვლას. მაგ., 20 ივნისს ღამის 11 საათზე თფილისის საქონლის სადგურზე მუშებმა აღმოაჩინეს პროვოკატორთა ერთი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა რკინის გზაზე მეისრეთ ნამყოფი გერმანე ჩიჩიაშვილი და მოუწოდებდა ხალხს ახალი წესწყობილების წინააღმდეგ. ეს ამბავი აცნობეს ადგილობრივ კომიტეტს, რომელმაც დასაჭერათ ზომები მიიღო, მაგრამ ამ დროს ჩიჩიაშვილი სადღაც მიიმალა.

◆ **პროვოკატორები ციმბირში.** გაზეთი „ციმბირი“, რომელიც ქ. ირკუტსკში გამოდის ერთ-ერთ ნომერში აქვეყნებს პროვოკატორების სიას. ეს სია შემოწმებულია ირკუტსკის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საგამომძიებლო კომისიის მიერ. სხვათა შორის, სიაში აღნიშნულია მიხეილ ივანეს ძე გოგიაშვილი, რომელიც სასამართლოს წესით გადასახლებული ყოფილა ბალაგანის მაზრის სოფ. ზელსკში. „ოხრანკის“ თანამშრომლათ ყოფილა ის სოფ. ჩერემხოვოში, ჯამაგირი ჰქონია თვეში 20 მ. და მეტსახელი „ნოლი“.

— ამხ. პეტრე ტარასოვმა შემოსწირა სალიტერატურო ფონდისათვის 50 მან.

კრებები და მიტინგები.

22 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მე-5 საქალაქო სკოლის შენობაში (მეტეხის ნაწილი, კახეთის ქუჩა № 60) შესდგება მეორე საერთო კრება. წაიკითხავენ ლექციებს ქართულ და რუსულად. თემა: საქალაქო არჩევნები. სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 7 საათზე სასახლეში შესდგება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან არსებული პროპაგანდისტთა კოლეგიის კრება. დღის წესრიგი: საერთო მიტინგი, რომელიც 26 ივნისს გაიხსნება თფილისში; სარაიონო კლუბების შესახებ შემუშავებული წესდების განხილვა, კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა,—როგორიცაა კლუბებში ლექციების მოწყობა, მოძრავი სამკითხველოების დაარსება ლაზარეთებში, წერა-კითხვის შესასწავლი სკოლები და სხ. მიმდინარე საკითხები.

ს.-დ. საოლქო ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები

ერობის და ქალაქის თვითმართველობანი.

სახელმწიფოში მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები დაგროვდა (სასულიერო საქმე, პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობა და სხ.), რომელთა გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობილ თვითმართველობებს.

ადგილობრივ თვითმართველობათა არჩევნები და მათი მონაწილეობა საუკეთესო შკოლა იქნება მცხოვრებთა პოლიტიკურათ აღზრდის საქმეში; აქ ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცემა გაეცნოს არჩევნების ტექნიკას, გაერკვეს სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში და სხ.

და რაც უმთავრესია—ადგილობრივი თვითმართველობანი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად საუკეთესო იარაღი იქნება რევოლუციონური ძალების შესაკავშირებლათ და რეაქციონური გამოსვლების დასათრგუნავათ.

[illegible] ზემო მოყვანილ დებულებებს, ყრილობა საჭიროთ სცნობს:

1) აუცილებლათ საჭიროა ქალაქის თვითმართველობათა შემოღება ყველა იმ დაბებში, რომელთაც ასე თუ ისე ქალაქის სახე აქვთ.

2) უნდა ვეცადოთ, რათა ამიერ კავკასიაში ერობა იქნას შემოღებული. საქმის დასაჩქარებლათ დროებით შესაძლებელი იქნება ვისარგებლოთ ამიერ-კავკასიის არსებული დაყოფით—როგორიცაა გუბერნია, მაზრა და სხ. წვრილი საერობო ერთეულის შექმნის დროს სასურველია სახეში იქნას მიღებული მცხოვრებთა ეროვნული განსხვავება, უკეთუ ეს არ დაარღვევს სოფლის საზოგადოებათა საეკონომიო სამეურნეო ერთიანობას.

3) ყოველმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს მუნიციპალური პლატფორმა, რომელიც შესწორებული შევსებული უნდა იქნას ადგილობრივ პირობათა მიხედვით; სახელმძღვანელო პრინციპი კი იქნება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა და დასავლეთ ევროპის ამხანაგების პრაქტიკა ამ საქმეში.

ომი და ზავი.

კავკასიის სოციალ დემოკრატია თავიდანვე სასტიკ წინააღმდეგობას აცხადებდა იმპერიალისტების მიერ გამოწვეულ საშინელ ომის გამო და თანახმათ ინტერნაციონალურ კონგრესების დადგენილებისა ცდილობდა მის საჩქაროთ დამთავრებას.

რუსეთის დიდებულმა რევოლუციამ ამ მხრით ფრიად ხელსაყრელი პირობები შექმნა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა პირით რუსეთის რევოლუციონერმა დემოკრატიამ მოითხოვა უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. ეს მოთხოვნა პირველათ წამოაყენა საერთაშორისო ს.-დემოკრატიის იმ ნაწილმა რომელიც ერთგული შერჩა ინტერნაციონალის დროშას. ამიერ კავკასიის საოლქო ყრილობა მიემხრობა საერთაშორისო ფარგლებში ზავის ჩამოგდებისთვის ბრძოლას. ის აცხადებს რომ: ა) ერთ-ერთ მებრძოლი მხარის განადგურება ახალ ომს გამოიწვევს; ბ) სეპარატიული ზავი შეაფერხებს სოციალისტურ ინტერნაციონალის აღდგენას, ერთ რომელიმე მებრძოლი მხარის მტაცებლობითი მადას გაუძლიერებს და რევოლუციონურ რუსეთს ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ ის იძულებული იქნება ახალ კოალიციას მიეკედლოს და ისევ ჩაებას ომში ახალ მომხრეებთან ერთათ. ამიტომ ყრილობა წინააღმდეგია იმ ზომებისა, რომლებიც სეპარატიულ ზავისკენ არიან მიმართული ამა თუ იმ ფორმით.

იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს მათგან გამოწვეულ ხალხთა ხოცვა-ჟლეტის დაბოლოვება. ზავის ჩამოგდება საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა. ყრილობა აღიარებს, რომ რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია სწორე გზას დაადგა, როცა მიმართა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით მხარი დაუჭიროს მის ლოზუნგს: ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე, და თანაც მოსთხოვონ თავიანთ მთავრობას უარჰყონ მტაცებლობითი პოლიტიკა, ყრილობა სავსებით მხარს უჭერს ამ მოთხოვნილებას და უცილებელ საჭიროებათ სთვლის მიღებულ იქნას ზომები საჩქაროთ ინტერნაციონალური სოციალისტური კონგრესის მოსაწვევათ და მთელი ქვეყნის სოციალისტების ზავის პლატფორმის გარშემო გასაერთიანებლათ. ყრილობა ფიქრობს, რომ ზავის ჩამოგდებას გზაზე ეღობება მებრძოლ სახელმწიფოთა შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომლებშიაც აშკარათ გამოსჭვივის ბურჟუაზიულ მთავრობის მტაცებლობითი მისწრაფებანი: რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიის ვალია ხელი შეუწყოს ამ ხელშეკრულებების საჩქაროთ გადასინჯვას იმ მიზნით, რომ გადაჭრით უარყოფილ იქნას მტაცებლობითი პოლიტიკა.

ხოლო ჯერ სანამ ომი გრძელდება, ყრილობა აუცილებელ საჭიროთ სთვლის განამტკიცოს ჯარში რევოლუციონური დისციპლინა და მისი სამხედრო ძლიერება. ამასთანავე ყრილობა აფრთხილებს ხელოვნურათ მოწყობილ შეტევის დაჩქარებისაგან.

ამიერ კავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(პირველი დღე, 20 ივნისი).

20 ივნისს თფილისში გაიხსნა ამიერ კავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდი. ჯერ ჯერობით გამოცხადდა 1000 მდე დელეგატი კავკასიაში მცხოვრებ ყველა ეროვნებისა. კომისარიატის წარმომადგენლებმა ცოტა დააგვიანეს. დელეგატებმა გადასწყვიტეს, არ გახსნან სიეზდი მათ მოსვლამდე რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ კიდეც. დარბაზში გამოჩნდა კავკასიის არწივი ნოე ჟორდანია. მის დანახვამ დიდი აღფრთოვანება და დაუსრულებელი ტაშის-ცემა და ოვაციები გამოიწვია. ნოეს თან მოჰყვებოდნენ ჯაფაროვი და ა. ჩხენკელი. სიეზდი ოვაციებით ხვდება მათ და სამივე ტრიბუნაზე ხელით აიყვანეს. სიეზდი გახსნა გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ან. ნერუჩევმა, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს პირველი სიეზდია კავკასიაში, რომელშიდაც თავი მოიყარეს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებმა. სიეზდმა უნდა გადაჭრას ისეთი საყურადღებო კითხვები, როგორიცაა არის სახელმწიფოებრივი მართველობის ფორმა, აგრარული საკითხი და სხვ. საჭიროა გლეხების შეკავშირება; თქვენ უნდა აირჩიოთ გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც შეუერთდება სრულიად რუსეთის ასეთივე საბჭოს, და აგრეთვე ცენტრი, რომელიც შეუერთდება მუშების და ჯარისკაცების ასეთივე ცენტრს და ერთად გაატარებენ საერთო საქმეს.

აკაკი ჩხენკელი. ესალმება სიეზდს დროებით მთავრობისა და მის ადგილობრივ კანონიერ წარმომადგენლის, ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და სახელმწიფო დუმის ს. დ. ფრაქციის სახელით. ჩვენ მოგელოდით თქვენ, თქვენს ინტერნაციონალურ სიეზდს. რუსეთში გლეხობა უკვე კავშირდება, საჭიროა თქვენც წარმოადგენდეთ ერთ მთლიან ძალას. იმედია თქვენი პირველი სიეზდი შეეხება ყველა იმ კითხვებს, რომელიც რევოლუციას უდგას წინ გადასაჭრელათ და საერთო ძალით მიაღწევთ გამარჯვებას. რევოლუციის გამარჯვების სურვილმა მოგვიყვანათ თქვენ აქ და სხვა მიზანი არც შეიძლება იყოს. მე ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ თქვენ უნდა გამოყოთ ცენტრი, რომელიც შეუერთდება მუშებისა და ჯარისკაცების ცენტრს და ამნაირათ მივიღებთ ერთ მთლიან მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხების რევოლუციონურ ორგანიზაციას, რომელსაც დაეყრდნობით ჩვენ და მასთან ერთად მივიღებთ ზომებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ესევე ორგანოები გაუწევენ კონტროლს დროებით მთავრობის მოქმედებას. მე იმედი მაქვს, თქვენ განახორციელებთ რევოლუციის მიზნებს. გაუმარჯოს გლეხთა პირველ თავისუფალ ინტერნაციონალურ სიეზდს!

მ. ჯაფაროვი ესალმება სიეზდს სახელმწიფო დუმის გლეხ დეპუტატების სახელით და როგორც დროებითი მთავრობის წარმომადგენელი. რუსეთის სახელმწიფო—გლეხთა სახელმწიფოა და ჩვენს იმედებს გლეხებზე ვამყარებთ. ძველი რეჟიმი თავის ბატონობას ჩვენს დანაწილებაზე ამყარებდა. მისი აგრარული პოლიტიკაც ჩვენკენ იყო მიმართული. დღეს, ამიერიდან ნუ იქნება ეს, ყველამ შევერთდეთ ეროვნების მიუხედავად საერთო გამარჯვებისათვის. ამ დროს შემოდის **მ. პაპაჯანოვი.** სიეზდი მას ოვაციებით ხვდება. იგი მიესალმა სიეზდს და სთქვა, რომ ის გარემოება, რომ მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა, მაინც მოსულხართ აქ, მაჩვენებელია თქვენში სოლიდარობის სურვილისა. კომისარიატში შედის ყველა ერების წარმომადგენელი, ჩვენ ერთსულოვნათ ვმუშაობთ, ჩვენს შორის არ არის არავითარი უთანხმოება ნაციონალურ ნიადაგზე და იმედია თქვენს შორისაც არ იქნება მას ადგილი. ჯერ უნდა განვამტკიცოთ საერთო კეთილ-მდგომარეობა და შემდეგ ყველა მივიღებთ თავისას. მე ვისურვებდი, რომ კავკასიის ერთა შორის არ იყოს საიდუმლო რაიმე, არ ვმართავდეთ ცალკე თათბირებს. ყველა საკითხები შესაძლებელია გადავჭრათ და უნდა

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლებას.

გადავჭრათ შეთანხმების გზით, საერთო ძალღონით.

ოვაციებით ხვდება სიეზდი ამხ. **ნოე ჟორდანიას**, რომელიც მიესალმება მას მუშათა და ჯარისკაცთა კავკასიის ცენტრის და თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სახელით. ამ ორგანიზაციებში მუშაობის დროს,—ამბობს ნოე,—ჩვენ ერთგვარ სიმშვიდეს ვგრძნობდით, ვინაიდან თქვენ—გლეხები არ იყავით ჩვენთან. ჩვენ მოველოდით თქვენ, რომ შეგვექმნა საერთო რევოლიუციონური ორგანიზაცია. ხალხის მტრები თქვენზე ამყარებდნენ იმედებს. მართალია მუშებმა და ჯარმა მოახდინა რევოლიუცია, მაგრამ რას იტყვის გლეხობა, ეს თქვენ არ იცოდით. თქვენ გაუცრუებთ მათ იმედებს და იტყვით, რომ თქვენც ჩვენთან ხართ. ჩვენ გვინდოდა ადრე გაგვეგო გლეხების აზრი და ამას წინათ მოვიწვიეთ ქუთაისისა და თფილისის გუბერნიის გლეხების სიეზდი. იმათ უკვე სთქვეს, რომ ჩვენთან არიან. თქვენც, ყველა ეროვნების წარმომადგენლები, იტყვით, რომ მუშებთან და ჯარისკაცებთან ერთად იბრძვით საერთო ბედნიერებისათვის. ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ ჩვენ ერთმანეთს ამოვჟლეტთ, ერთმანეთს გავანადგურებთ. თქვენ იტყვით, რომ ეს არასოდეს არ იქნება. თქვენ იტყვით, რომ წარმოადგენთ ერთ მილიონ ერს—შრომის ერს, თქვენ იტყვით, რომ ძველი რეჟიმი სამუდამოთ მოისპო, სამუდამოთ გაჰქრა იმათი ბატონობა, ვინც ჩვენს დაქსაქსვაზე ფიქრობდა საკუთარი ბედნიერების შექმნას...

თქვენი ძახილი ერთი იქნება; ეს ძახილია: „გლეხებო ყველა ერისა, შეერთდით!..“ უკანასკნელი სიტყვები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და ხანგრძლივ ტაშისცემასა და ოვაციებს იწვევს.

კავკასიის ჯარის ცენტრის წარმომადგენელი ჰიჟოვი ესალმება სიეზდს მთელი კავკასიის ჯარის სახელით. ჩვენ—ამბობს ორატორი—დიდი ხანია მოველოდით, რომ შეგვერთდებოდით ისე, როგორც შეუერთდით ჩვენს ძმებს—მუშებს. საჭიროა შევკავშირდეთ ერთ მთლიან რევოლიუციონურ ორგანიზაციაში. შეკავშირებულ მუშებს, გლეხებს და ჯარის კაცებს ვერავითარი კონტრ-რევოლიუცია ვერ დაამარცხებს. ჯარი მაგრათ დგას ფრონტზე და არ დაბრუნდება იქიდან მანამდი, სანამ მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ხალხი არ განთავისუფლდება... ჯარმა სთქვა, რომ რუსეთში არ არის პირველი და მეორე ხარისხოვანი ეროვნებები: ყველა ერთია, ყველა თანასწორია.

სიეზდს მიესალმა აგრეთვე სრულიად რუსეთის მუსულმანთა სიეზდის მიერ კავკასიაში გამოგზავნილი სამხედრო დელეგაციის წარმომადგენელი, რომელმაც სთქვა, რომ მშრომელ კლასებს შორის არ არის ანტაგონიზმი და ვინც ამას ამტკიცებს პროვოკატორია.

იმ სამწუხარო მოვლენის წარმოშობას, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1905 წელში, ჩვენ ვაკუთვნებთ არა სომეხ თათართა შორის ანტაგონიზმს, არამედ ძველ რეჟიმს... გაუმარჯოს ხალხთა ძმობას, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად—დაათავა ორატორმა თავისი სიტყვა. ბევრს უნდოდა სიეზდისადმი მისალმება, მაგრამ დრო რომ არ დაეკარგათ გადავიდნენ პირდაპირ მორიგ კითხვებზე. შემოვიდა წინადადება, მიეცეს სიტყვა თფილისის წარმომადგენელს, ა. ხატისოვს, მაგრამ სიეზდმა უარყო ეს წინადადება. დაშნაკელები და მათი ამყოლნი მეტათ უკმაყოფილო დარჩნენ მისალმების შეწყვეტით, აქაო და თუ ს. დ. პარტიის სახელით მისალმნენ, ჩვენც უნდა მოგვეცეს სიტყვაო. ამხ. ჩხენკელი იძულებული შეიქნა განემარტა, რომ იგი მიესალმა სიეზდს არა ს. დ. პარტიის, არამედ სახლ. დუმის ს.-დ. ფრაქციის სახელით, რომლის თავმჯდომარე იმავე დროს თავმჯდომარეა პეტროგრადის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოისა და მე კიდევ ამ საბჭოს მიერ დანიშნული კომისარიი. დამსწრენი ამ განმარტებამ სავსებით დააკმაყოფილა და დაშნაკელების ოინებს, რომლებსაც ჩვენი ინტელიგენტ ფედერალისტებიც მხარს უმშვენებდნენ, გასავალი არ დარჩა.

რიგი მიდგა პრეზიდიუმის არჩევნებზე. საორგანიზაციო ბიუროს წევრთა შორის მოხდა შეთანხმება: სამი ადგილი პრეზიდიუმში დაეთმო ს. დემოკრატებს, სამი—მუსულმანებს, 2—ს.-რ., 2—დაშნაკელებს, ერთი—ფედერალისტებს და ერთიც რუსებს. ფედერალისტები თავიდანვე შეეცადნენ ამ შეთანხმების დარღვევას.

მეტათ კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენდა ს.-რ. და დაშნაკელების ზურგს ამოფარებული ჩვენი ფედერალისტები, გინდათ არ გინდათ ჩვენც ორი ადგილი უნდა გვქონდეს პრეზიდიუმში და თქვენცო (ე. ი. ს. დემოკრატებსო) და ეს მაშინ, როდესაც ქართველ დელეგატებში მგონი ორი ფედერალისტი არც კი იქნება!.. საორგანიზაციო ბიუროს წინადადება იყო პრეზიდიუმის თორმეტივე წევრი ყოფილიყო ერთი და იგივე უფლებით აღჭურვილი. სიეზდის დიდ უმრავლესობამ მოითხოვა, ერთი ყოფილიყო თავმჯდომარე, დანარჩენი ამხანაგები. ამ კითხვამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია და რადგანაც უკვე საღამოს 7 საათი მოახლოვებული იყო, არჩევნებიც შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

ვენე ალათიშვილი.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების წინასწარი თათბირი.

(გაგრძელება, იხ. „ერთობა“ № 77).

ამხ. ივ. კიკაბიძე (სამტრედია). 1904 წლიდან არ შეწყვეტილა პარტიული მუშაობა, თუმცა მეტად მცირე რიცხოვანი იყო ჩვენი ჯგუფი. ვეწეოდით უმთავრესად კულტურულ მუშაობას. ვებრძოდით დარბევას და სხ. სამტრედიის რაიონში 9 საზოგადოება შედის, დღეს პარტიაში 3615 წევრი ირიცხება. სოფლებში მოვაწყვეთ ორგანიზაციები, რომლებიც ირჩევენ თითო წარმომადგენელს რაიონულ კომიტეტში. მოვაწყვეთ აგრეთვე მუშათა საბჭო. ყველგან ჩვენი გავიყვანეთ, საერთოდ დიდი გავლენა გვაქვს ხალხში... სოფელი ირჩევს 5 ხელმძღვანელს, ყველა 30 წევრიდან საზოგადოების კოლექტივში თითო წარმომადგენელი იგზავნება. ვავრცელებთ პარტიულ ლიტერატურას... მოვაწყვეთ 1 მაისის დღესასწაული, რომელშიაც ყველა პარტიამ მიიღო მონაწილეობა. სამტრედიაში არიან ფედერალისტები, ნაც.-დემოკრატები, ს.-რ. და ანარქისტებიც, მაგრამ მათი გავლენა მეტად მცირეა.

ამხ. ივ. ჭეჟანიძე (ხონი). რევოლიუციის დაწყებისთანავე შევუდექით ორგანიზაციულ მუშაობას. მოვიწვიეთ ამხანაგები სოფლებიდან და ავირჩიეთ რაიონის და საზოგადოებების კოლექტივები. აქ მეტი გავლენა ს.-დ. გვაქვს, აღმასრულებელ კომიტეტში პირველათ შეთანხმებულათ გამოვედით და ავირჩიეთ 4 ფედერალისტი და 4 ს.-დ. მეორეჯერ არჩევნებში კი ჩვენ მივიღეთ 2075 ხმა, ხოლო ფედ. 384. დღეს პარტიაში სულ 948 წევრია. შევდგა პროპაგანდისტთა წრე, მოვაწყვეთ პირველი მაისობა. ექსცესები აქ იყო, მაგრამ ჩვენ შევებრძოლეთ მას მთელი ძალღონით და ჩავაქრეთ. ქალები ბევრი შემოდის პარტიაში. არსებობს ქალთა წრე, მაგრამ მას პოლიტიკური ხასიათი არ აქვს. არიან მეუმრავლესენიც, მაგრამ თითქმის ყველა ინტელიგენტია.

ამხ. ზ. გურული (ჭიათურა). რევოლიუციამდეც გვქონდა ორგანიზაცია და ვმუშაობდით, რამდენადაც შესაძლებელი იყო. რევოლიუციის შემდეგ უმთავრესად ორგანიზაციულ მუშაობას მივყავით ხელი, სოფლებში მუშაობასაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით. ჩვენც ვცდილობდით ფედერალისტებთან შეთანხმებულათ გვემუშავნა და ყველგან უთმობდით მათ ადგილს, სოფლებში მათ მიგვასწრეს და ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებდნენ ბრძოლას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხალხი მაინც ჩვენ გვირჩევს ყველგან და ნდობას გვიცხადებს. საქალაქო კომიტეტში 2 ფედერ—ტია, 2 ს. რ. და 7 ს.-დ. მუშათა დეპუტატების საბჭოში მხოლოდ 3 ფედერალისტია, დანარჩენი ადგილები ჩვენ გვეკუთვნის. გვინდოდა ქალაქის თვითმართველობა მოგვეწყო, მაგრამ ჯერ ვერ მოვიცალეთ ამისთვის. პარტიის წევრთა რიცხვი მარტო დაბაში 850 უდრის. არსებობს ორი პროფესიონალური კავშირი. მეუმრავლესენი ჩვენთან ერთად მუშაობენ, ვინაიდან, ამბობენ ისინი, ძველი ბოლშევიზმი დღეს არ არსებობსო. დასასრულ, მომხსენებელმა გამოსთქვა მოსიარულე ლექტორთა ჯგუფის დაარსების საჭიროება.

ვენე ალათიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების წესდება მიღებული ს. დ. საოლქო ყრილობის მიერ.

პარტიის წევრობა.

1) პარტიის წევრათ ითვლება ყველა ის, ვინც აღიარებს სოციალდემოკრატიულ პროგრამას, ირიცხება რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში და წესიერათ იხდის საწევრო გადასახადს.

შენიშვნა 1. წევრათ არ მიიღება ისეთი პირი, რომელიც თავისი აშკარა მოქმედებით წინააღმდეგ პროგრამის პრინციპებისა და საზოგადო ზნეობისა პარტიას ჩირქს მოსცხებს.

შენიშვნა 2. წევრათ არ მიიღება ის, ვისაც 18 წელი არ შესრულებია. ასეთი პირებისაგან არსდება ჭაბუკთა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედებს.

2) ახალი წევრი მიიღება პარტიის სამი წევრის თავდებობით.

საწევრო გადასახადი.

3) პარტიის წევრი მიღების დროს ერთდროულათ იხდის ქალაქში 50 კ., სოფელში 25 კ., ხოლო შემდეგ ყოველთვიურათ ქალაქში 40 კ., სოფელში კი 20 კ.

შენიშვნა. ა) პარტიის წევრს შეუძლია მთელი წლის ან რამდენიმე თვის საწევრო გადასახადი წინდაწინ გადაიხადოს.

ბ) პარტიის წევრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეულია საპატიო მიზეზით, პარტიიდან გარიცხულად ითვლება.

4) ქალაქის ორგანიზაციები საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ იხდიან ყოველთვიურათ პარტიის თითო წევრზე ორ შაურს, ხოლო სოფლის ორგანიზაციები—თითო შაურს.

ადგილობრივი ორგანიზაცია.

5) პარტიის ყველა წევრთაგან სდგება ორგანიზაცია. პატარა ქალაქებში არსდება ერთი ორგანიზაცია, რომლის წევრთა საერთო კრება ირჩევს ქალაქის კომიტეტს, ხოლო დიდ ქალაქებში უპირველესათ რაიონის ორგანიზაციებს ადგენენ. თითოეული რაიონის წევრთა კრება ირჩევს რაიონის კოლექტივს, რომელიც ადგილობრივ საქმეებს განაგებს. ყველა რაიონის ორგანიზაციები ირჩევენ ქალაქის კომიტეტს, რომელსაც ევალება მთელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. კომიტეტის წევრთა არჩევა ხდება რაიონის პარტიულ კრებებზე წევრთა რაოდენობის მიხედვით.

6) სოფლის მუშათა სახელმძღვანელოთ არსდება სოფლის და საზოგადოების პარტიული ორგანიზაციები, რომელთა საერთო ხელმძღვანელობა ევალება კომიტეტს. ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით რაიონის კოლექტივებსაც ადგენენ. სოფლის ორგანიზაციები პარტიის წევრთა რაოდენობის მიხედვით ირჩევენ საზოგადოების კოლექტივს, რომელიც ადგილობრივ საქმეებს განაგებს. ამავე წესით სწარმოებს კომიტეტისა და რაიონის კოლექტივთა არჩევა, სადაც ამ უკანასკნელის შედგენა სასურველი იქნება ცნობილი. ორგანიზაციის სამოქმედო რაიონის განსაზღვრა ადგილობრივ ამხანაგებს ენდობა, ხოლო თუ უთანხმოებამ იჩინა თავი, კითხვას საბოლოოთ საოლქო კომიტეტი სწყვეტს.

7) კომიტეტები და კოლექტივები ირჩევენ თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, მდივანსა და ხაზინადარს.

8) ყველა პარტიულ ორგანიზაციასთან არსდება ბიურო, სადაც დანიშნულ დროს მდივნის ხელმძღვანელობით სწარმოებს ახალ წევრთა მიღება და საჭირო ცნობების მიწოდება; ყველა ორგანიზაცია აწყობს აგიტატორთა, პროპაგანდისტთა და ლექტორთა წრეს, რომელიც მოქმედებს თანახმათ ხელმძღვანელ ორგანოთა დირექტივებისა. აგრეთვე ქალთა განსაკუთრებულ სააგიტაციო წრეს, რომელსაც ევალება ქალთა შორის პარტიული მუშაობის მოწესრიგება.

9) ადგილობრივი ორგანიზაცია შემოსავალ-გასავლის შესამოწმებლათ ირჩევს სარევიზიო კომისიას, რომელიც თავის მოხსენებებს უდგენს ჩვეულებრივ პარტიულ კრებას.

10) პარტიულ ორგანიზაციათა კრება ორგვარია: ა) ჩვეულებრივი და ბ) საგანგებო. ჩვეულებრივი კრება დგება იანვარში და ივლისში, ხელმძღვანელ დაწესებულებათა მოხსენების მოსასმენათ. აგრეთვე იანვრის კრება ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს მთელი წლის ვადით.

არჩევნების წესრიგს თვით პარტიული კრება იმუშავებს.

კრება კანონიერია, თუ მას წევრთა ერთი მესამედი დაესწრო, თუ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო პირველი კრება არ შედგა, არა უადრეს ერთი კვირისა ინიშნება მეორე, რომელიც კანონიერათ ითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. საგანგებო კრებას იწვევს ხელმძღვანელი ორგანო თავისი სურვილისამებრ, ან წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით, ან სარევიზიო კომისია განსაკუთრებული დადგენილების თანახმად, რომლის ოქმი წინდაწინ უნდა გადაეცეს ხელმძღვანელ ორგანოს. კრების დრო, ადგილი და დღიური წესრიგი ერთი კვირით ადრე უნდა ეცნობოს პარტიის წევრებს.

შენიშვნა. პარტიულ კრებას, თუ ის საჭიროთ დაინახავს, ხელმძღვანელ ორგანოთა ხელახალი არჩევა შეუძლია 6 თვის შემდეგაც.

საოლქო ორგანიზაცია.

11) ამიერ კავკასიის საერთო პარტიულ საქმეთა სახელმძღვანელოთ იკრიბება საოლქო ყრილობა: ჩვეულებრივი ყოველ წლიურათ მარტში ან აპრილში, ხოლო საგანგებო საოლქო კომიტეტის დადგენილებით, ადგილობრივ კომიტეტთა მესამედის მოთხოვნით, ან და საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებით. ჩვეულებრივი საოლქო ყრილობის მოწვევის დროს და დღიურ წესრიგს საოლქო კომიტეტი ერთი თვით ადრე აქვეყნებს პარტიულ ორგანოში, ხოლო საგანგებო ყრილობისას ერთი კვირით ადრე. ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია 15 იანვრამდე წარუდგინოს საოლქო კომიტეტს წლიური მოხსენება. უკანასკნელი კი ადგენს და პარტიის წევრთა საყურადღებოთ აქვეყნებს თავისი და ადგილობრივ ორგანიზაციათა მოქმედების წლიურ ანგარიშს.

12) საოლქო ყრილობა შესდგება პარტიის წევრთა წარმომადგენელთაგან: 400 წევრი თითო დელეგატს გზავნის.

შენიშვნა: იმ ორგანიზაციას, რომელსაც სათავეში უდგია კომიტეტი, უფლება ეძლევა საოლქო ყრილობაზე ერთი დელეგატი იმ შემთხვევაშიაც გაგზავნოს, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ოთხასს არ აღწევს.

13) საოლქო ყრილობა ირჩევს 11 წევრისა და ხუთი კანდიდატისაგან საოლქო კომიტეტს, რომელსაც ევალება პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა. საოლქო კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს, ორ ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

შენიშვნა: საოლქო კომიტეტის წევრთა გასამრჯელოს საზღვრავს საოლქო ყრილობა.

14) საოლქო ყრილობა ადგენს საკანონმდებლო დაწესებულებათა კანდიდატების სიას. იმ შემთხვევაში, როცა კითხვის გადაჭრის გადადება საოლქო ყრილობის მოწვევამდე შეუძლებელია კანდიდატების დასახელება ხდება საოლქო კომიტეტისა და ადგილობრივ ორგანიზაციათა შეთანხმებით. ამავე წესით წარმოებს ადგილობრივ თვითმართველობათა და მართვა-გამგეობის საპასუხისმგებლო ადგილებზე ასარჩევი პირების დასახელება.

15) საოლქო კომიტეტისა და მის ხელქვეით დაწესებულებათა შემოსავალ გასავლის შესამოწმებლათ, აგრეთვე მათ წინააღმდეგ აღძრულ საჩივართა განსახილველათ საოლქო ყრილობა ირჩევს 9 კაცისაგან შემდგარ საკონტროლო კომისიას, რომელიც ექვს თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს. თავის მოხსენებას საკონტროლო კომისია უდგენს საოლქო ყრილობას.

პარტიული პრესა.

16) პარტიული პრესის რედაქციის დანიშვნის წესრიგს საოლქო ყრილობა იმუშავებს რედაქციის უმთავრესი ხელმძღვანელობა საოლქო კომიტეტს ევალება.

17) ადგილობრივი ორგანიზაცია ირჩევს პრესის კომისიას, რომელიც საოლქო კომიტეტთან ერთად მოქმედებს და ადგილობრივ პარტიულ ჟურნალ გაზეთებს იდეიურ და ნივთიერ მხარეების კონტროლს უწევს.

შენიშვნა: თუ რომელიმე კითხვის შესახებ საოლქო კომიტეტსა და პრესის კომისიის შორის უთანხმოება ჩამოვარდა, კითხვა საბოლოოთ გადასაჭრელათ გადაეცემა საკონტროლო კომისიის, საოლქო კომიტეტის და პრესის კომისიის შეერთებულ სხდომას, რომელზედაც ყველა დასახელებულ დაწესებულებას თითო ხმა ეძლევა.

წევრთა გარიცხვა.

18) წევრი, რომელიც პარტიულ პრინციპებს ღალატობს ან თავისი მოქმედებით ორგანიზაციას ჩირქს სცხებს, პარტიიდან ირიცხება ადგილობრივი ორგანიზაციის დადგენილებით, ხოლო თუ გარიცხული ამას არ დაეთანხმება, კითხვის გარკვევა ენდობა პარტიულ სასამართლოს, რომლის თავმჯდომარეს ირჩევს საოლქო კომიტეტი, ხოლო თითო წევრს ადგილობრივი ორგანიზაცია და ბრალდებული წევრი ნიშნავენ. სასამართლოს უფლება ეძლევა წევრი პარტიიდან გარიცხოს ან სხვა რაიმე სასჯელი მიუსაჯოს. პარტიული სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება შეიძლება საკონტროლო კომისიაში. უკეთუ კომისიამ პარტიული სასამართლოს დადგენილება უკანონოთ სცნო, კითხვის საბოლოო გადაწყვეტა ენდობა საოლქო ყრილობას, ხოლო მის მოწვევამდე ბრალდებული წევრი პარტიიდან დროებით გადაყენებულათ ითვლება.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

ვანი (ქუთაისის მაზრა).

კვირას 4 ივნისს ვანის ორკლასიან სასწავლებელში მოხდა კრება ვანის რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის წევრებისა. კრებაზე თავმჯ. არჩეულ იქნა ამხ. არ. სულავა, მდივნათ მაქსიმე კორძაძე. თავმჯდომარემ კრებას ვრცლათ განუმარტა პარტიის წევრთა მოვალეობა და მოუწოდა კრებას აერჩიათ დელეგატები მომავალ პარტიულ ყრილობაზე დასასწრებლათ. კრებამ აირჩია ოთხი დელეგატი: ვლადიმირ ტკებუჩავა, დათიკო ბაღდავაძე, მაქსიმე კორძაძე და ილიკო ძაგნიძე. დასასრულ ამხ. ტკეშელავამ კრებას დაუხასიათა პარტიათა შორის ფრაქციული მიმდინარეობა.

ეკაშვილი.

ხად ულუხანლუ.

13 ივნისს, აქ შესდგა ს. დ. პარტიის წევრების კრება. ერევნიდან ჩამოვიდა ამხ. გაბრიელ გოგუაძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. შემდეგ დაიწყო არჩევნები, ფარული კენჭის ყრით. არჩეული იქნენ: ერევანის პარტიულ კომიტეტში—ამხ. ქავთარაძე და თიბაგარი; ულუხანლუს კომიტეტში: ამხ. ელისაშვილი, ქართველიშვილი, რეინბუში, გალკინი და ბეჟანიშვილი. ამ მოკლე ხანში ამხ. გოგუაძე აქ წაიკითხავს ლექციას: „ომი და ზავი“.

მუშა.

დ. ლანჩხუთი.

ოთხშაბათს, 7 ივნისს, მოხდა ადგილობრივი ს. დ. მ. პ. კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. კრება გახსნა ამხ. ტ. ორაგველიძემ (თავმჯდომ. ამხანაგი) დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვები იყო წამოყენებული: მოხსენება გურიის კომიტეტის წევრის ამხ. ლ. კვეტაიშვილის; კირილე წილოსანის გარდაცვალება; ჩიბათელ ამხანაგების გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ პრესის საშუალებით; ვალერიან ჭყონიას შესახებ; პარტიის წევრის ირაკ. კვირკველიას შესახებ; კოლექტივის წევრთა დამატებითი არჩევნები; სასურსათო კომიტეტის მოწყობა; ჯუნჯუთის წარმომადგენლის მოხსენება; პასუხისმგებელი კორესპონდენტის არჩევა; ლიტერატურა; ფედერალისტების კორესპონდენციის შესახებ; პარტიაში წევრთა მიღება.

კოლექტივმა მოისმინა რა გურიის კომიტეტის სხდომების ანგარიშები, რომელიც უკვე იყო დასტამბული ჩვენს გაზეთში, კომიტეტის წევრის ამხ. ლ. კვეტაიშვილისაგან, მიიღო კომიტეტში დასმულ კითხვებზე გამოტანილი რეზოლიუცია; ამასთანავე კოლექტივმა იქონია მსჯელობა ოზურგეთის მაზრის კომისარებზე და მიიღო რა მხედველობაში, 1) რომ ისინი (დასახელ. კომისარები) არ არიან არჩეული კანონიერად და ამიტომ არც შეიძლება ჩაითვალონ კანონიერ პასუხისმგებელ თანამდებობის პირებათ და 2) მათ მიერ თავიანთ შორის თანამდებობის და ჯამაგირების განაწილებას სცნობს რა არა ნორმალურად და ლანჩხუთის პარტიული კოლექტივი მოითხოვს მაზრის კომისარები დაუყოვნებლივ გადადგნენ თავიანთ თანამდებობიდან, არჩევნები კი მოხდეს კანონიერ ნიადაგზე. მეორე კითხვის შესახებ კოლექტივის მიერ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: კოლექტივი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ მასწ. კირილე წილოსანში მან (კოლექტივმა) დაკარგა იდეური ამხანაგი და საყვარელი საზოგადო მოღვაწე; აგრეთვე გამოსთქვამს მწუხარებას რომ შესაფერი მონაწილეობა ვერ მიიღო მის დასაფლავებაში და ეცდება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად იზრუნოს მისი ოჯახის სასარგებლოთ დაარსებულ ფონდის გადიდებაზე. კოლექტივმა მიიღო მხედველობაში, რომ შემწეობა აღმოუჩინა ორ არასასურველ პირებს: ნიკიფორე უჯუშაძეს და ექვთიმე ორაგველიძეს. პირველს 50 მ. და მეორეს 6 მ. ამიტომ დაადგინა: ეს ფულები დაუბრუნდეს უკანვე დასახელებულ პირებს. (ალბათ ფულით თუ სურდათ ამ ვაჟბატონებს თავიანთ ცოდვების გამოყიდვა). ეცადოს აქეთ არასასურველ პირებისაგან შემწეობა არ მიიღოს, ყოველივე ეს იქნას გამოცხადებული გაზეთის ფურცლებზე და ეს გადაწყვეტილება ეცნობოს ადგილობრივ ფილიალურ განყოფილებას, მესამე კითხვის შესახებ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: კოლექტივმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ლანჩხუთის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციამ იქონია მსჯელობა ვალერიან ჭყონიას შესახებ, მხოლოდ იმ ბრალდებებზე, რომელიც ეხებოდა ლანჩხუთის ორგანიზაციას და ჩიბათის საზოგადოებას კი არ გაეგოა საქმის შინაარსი და ისე ჩვენს წინააღმდეგ გულის წყრომის რეზოლიუცია; ასეთი რეზოლიუციის გამოტანას კოლექტივი სცნობს მოუფიქრებლად. მეოთხე კითხვის შესახებ კოლექტივმა აირჩია კომისია ოთხი ამხანაგისაგან ტ. ორაგველიძის, მირონ იმნაძის და ს. იმნაძის და ბ. გვარჯალაძის.

მეხუთე კითხვა გადადებულ იქნა, მანამ სანამ კომისია გამოარკვევდეს ამ კითხვას. მეექვსე კითხვა მიღებულ იქნა. მეშვიდე და მერვე კითხვები ღიად რჩება. კოლექტივის კრებამ აირჩია პასუხისმგებელ კორესპონდენტებათ შემდეგი ამხანაგები: ნ. ფ—ლი და ქ. ი—ძე.

კრებამ დაადგინა შეძენილ იქნას პარტიული ლიტერატურა. მეთერთმეტე კითხვა ღიად რჩება. მეთორმეტე კითხვა: წრეების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კოლექტივში ახალ წევრთა სია დასამტკიცებლად, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ხარიუხი.

რევოლიუცია პროვინციაში

ძ. ქარაქილისი (ოსმალეთი). 4 ივნისს ჯარისკაცთა კლუბში ამიერ კავკასიის-ჯ. კ. ყრილობის დელეგატებმა მოხსენება გააკეთეს. ყრილობაზე მიღებული ყველა საკითხები კრებამ მოიწონა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აგრარულ საკითხს, რომლის შესახებ აჩინა თავი ორმა მიმდინარეობამ. ერთი ნაწილი იცავდა ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციას, ე. ი. მიწის სოციალიზაციას, მეორე ნაწილი მიწის მუნიციპალიზაციას. კრებამ საჭიროთ სცნო ამის შესახებ კერძო ყრილობის მოწვევა. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. მოხსენების შემდეგ ვიღაც კასინსკიმ გააკრიტიკა ამიერ კავკასიის ჯარისკაცთა ყრილობის მუშაობა და ამტკიცებდა: ყრილობამ ბევრი შეცდომები დაუშვაო, თუმცა როგორც ეს ბოლოს თვითონვე განაცხადა, არც კი იყო გაცნობილი ამ რეზოლიუციებს. დიდებული კრიტიკოსი შეეხო ყრილობის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს. მან სთქვა: ჯარისკაცთა ყრილობის თავმჯდომარეთ უნდა აერჩიათ სამხედრო პირი და არა კერძო მოქალაქე. ევგენი გეგეჭკორი არის ერთი ბელადთაგანი ადგილობრივ სოციალდემოკრატების და ყოველ კითხვას თავის თვალსაზრისით აშუქებდა და როგორც მას უნდოდა ისე სჭრიდაო. სწორეთ ამით აიხსნება ის მრავალი შეცდომები, რომელიც ყრილობამ დაუშვაო.

დასასრულ მან გაილაშქრა რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ: ყრილობამ საჭიროთ სცნო რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, მხოლოდ მიწის საკითხი, რომელსაც გლეხებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამფუძნებელ კრებისთვის გადასდო და ამით

ცალმხრივობა გამოიჩინა. მას პირველად პასუხი გასცა ყრილობიდან მოსულმა დელეგატმა სოც.-რევოლ. კოვალენკომ, შემდეგ სოციალდემოკრატებმა. საერთოთ კრებამ დაგმო ხსენებულ ორატორის გამოსვლა.

პ. ივანდიდელი.

—

ძ. ოფი (ლაზისტანი). 8 ივნისს აქ გაიმართა მიტინგი, რომელსაც მრავალი ჯარისკაცები, მუშები და სხვადასხვა ადგილებიდან წარმომადგენლები დაესწრენ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. პრაპორშჩიკი ვ. თავართქილაძე. ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა, გააცნეს დამსწრე საზოგადოებას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამი თვის მოღვაწეობა. ყველა იმას ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი საუკეთესო დარაჯია თავისუფლების, საუკეთესო მეთვალყურე და კონტროლი ყველა არა-სასიმედო პირების პროვოკაციონური და სხვა არა-სასურველი მოქმედებისა.

ილაპარაკეს კავკასიის ჯარის სიეზდიდან დაბრუნებულმა დელეგატებმა და გააცნეს დამსწრე საზოგადოებას კრებაზე გამოტანილი რეზოლიუციები.

ამხანაგი.

პროვინციის ცხოვრება.

ლეხაინდრავო, ონოღიის საზოგადოება (სამეგრელო). ეს საზოგადოება შესდგება ოთხი სოფლისაგან სახელდობრ: ლეხაინდრავო, ონოღია, ნაჯახოვო და ნაგიბეროვო, სადაც 1,500 კომლი ცხოვრობს. სივრცეს საზოგადოებისას შეადგენს სამი თუ ოთხი ოთხ კუთხი ვერსი და წარმოადგენს გაშლილ ვაკეს. ყველა სოფელს თავისთვის აქვს მომხმარებელი საზოგადოება, სკოლა, სამკითხველო და სხვა ასეთი დაწესებულებები. საერთოდ ამხანაგობას აქვს წვრილი კრედიტის ამხანაგობა და სოფლის სამმართველო ცენტრში. ეს დაწესებულებები ძველი რეჟიმის დროს ყოფილი მაზრის მამასახლისი ბ. შავდიასი და მისი დარაჯების წყალობით ცეცხლმა გაანადგურა და ესენი დროებით დაქირავებულ ბინაზეა მოთავსებული. დიდიდან თავისუფლების მოპოვებისა საზოგადოება შეკავშირდა. მოწინავე პირთა ხელმძღვანელობით დაარსდა ს. დ. მ. პარტიული ორგანიზაცია და ხალხმაც ამ დროშის ქვეშ მოიყარა თავი. ყველა ამან თითო-ოროლა სოფლის ბობოლები ალაგმა, ამ უკანასკნელებს დაეკარგა ის ძალა-უფლება და გავლენა, რომლითაც ისინი დღემდე სარგებლობდენ, მათ არა მკითხე ბატონ-პატრონობასაც ბოლო მოეღო და მათი პრესტიჟიც დაეცა ხალხის თვალში. ამ გარემოებამ ესენი შეაფიქრიანა, საგონებელში ჩააგდო და მათი ბატონობის განსამტკიცებლათ სხვადასხვა ხრიკებს მიმართეს და საზოგადოების დაქაქსვა-დანაწილება მიზნად დაისახეს. ხალხმა ხუთიოდ კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩია და მიანდო მათ სახლის შეძენა. სწორეთ ამ დროს ამ ვაჟ-ბატონებმაც მიჰყვეს ხელი ბნელს აგიტაციას. დადიან ღამ ღამობით სოფლათ, აწყობენ კუთხურ კრებებს და ხალხს გამოთიშვასა და ცალ-ცალკე სოფლად სამმართველოს დაარსებას ურჩევენ. მათის აზრით ნაცვლად ერთისა დღეს სამი სოფლის სამმართველო უნდა დაარსდეს: ერთი ლეხაინდრავოში (400 კ.) ერთი ს. ონოღიაში (350 კ.) და ერთიც ნაჯახოვო-ნაგიბეროვოში (750 კ.) რომ ამ დაქაქსვით თავისუფლად შესძლონ თითეულ ნაწილში მათი გეგმის განხორციელება, ძველებურად ვითომდა ხალხის მოპირისუფლეთ თავის დასახვა, თავიანთი ჯიბის სასარგებლოდ მოქმედება, უწინდებურად მოქმედება, უწინდებურად მათი გემოზე საქმის მოწყობა და მათი შელახული პიროვნების აღდგენა. საუბედუროთ ამ ვაჟბატონთა განზრახვას ბევრი თანაუგრძნობს.

სასურველია მოწინავე პირები მეტ ფხას და ენერგიას გამოიჩენდენ და აუხსნიდენ ხალხს, რომ საზოგადოების დაქაქსვა-დანაწილება ხალხის ღარიბ კლასის დასამარებას და მათი ინტერესების ფეხ-ქვეშ გათელვას მოასწავებს, ხოლო გაბატონებულ კლასის პირველ რიგზედ წამოსკუპებას, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ძალა ერთობაშია და ცალ-ცალკე გზით სიარული გარდა ზიანისა არას მოგვიტანს. იმედია ამ გარემოებას სამაზრო მთავრობაც ყურადღებას მიაქცევს და შესაფერ ნაბიჯს გადადგამს.

22 მაისს ამ საზოგადოებაში, ნაგიბეროვო-ნაჯახოვოს სკოლის დარბაზში ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრემ გამართა წარმოდგენა. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. ითამაშეს „ლურჯი ხალათი“ დრამა ერთ მოქმედებად, და „უმარილის ბრალია“ კომედია. დასასრულ ლექსები წაიკითხეს მოწაფეებმა. წმინდა შემოსავალი 91 მ. და 50 კ. გადაეცა ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს ივანე გიგიბერიას სახელობაზე ახლად გახსნილ უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობას, ამ სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლათ.

მოკეთე.

—

სოფ. ჭაჭიეთი. (გურია). 4 ივნისს აქ მოხდა სასოფლო კრება, რომელმაც იმსჯელა ადგილობრივ კოოპერატივის და სამკითხველოს შესახებ, აქ ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი ამტკიცებდა კოოპერატივის დამოუკიდებლად გახსნას, მეორენი კი ხიდისთავის კოოპერატივის განყოფილების გახსნას, დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ვინაიდან ცალკე დამოუკიდებლად კოოპერატივის გახსნა და ხიდისთავის ამხანაგებიდან გამოყოფა ადგილობრივ წევრების ძალების დაქსაქსვას ნიშნავს, რაც კოოპერატივის საქმეს შეაფერხებს, ამისთვის საჭიროა ყველა სოფლის წევრები სრული პაით ჩაეწერონ (70) ხიდისთავის ამხანაგობაში და სთხოვენ მათ გაუწიონ შუამდგომლობა, რომ სოფლის ცენტრში გახსნილი იქნას ახლო მომავალში ხიდისთავის კოოპერატივის განყოფილება. სამკითხველოს შესახებ კრებამ იქონია რა მსჯელობა დაადგინა: დაარსდეს სამკითხველო განსვენებული დეპუტატ პოლა ლომთათიძის სახელობაზე.

ჩაეწერა საკმაო წევრები. მადლობა გამოუცხადეთ ივანე, ეფემე, პავლე ევტიხია თავართქილაძეებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს პაპიტის სამკითხველოს განსვენებული ჯარის კაცის რუბენა ესეს ძე თავართქილაძის სახსოვრათ 30 მ. და „სახალხო ფურცელი“ ერთი წლით და თითო თუმანი. სულ 60 მ.

პანტ. თავართქილაძე.

ინტერნაციონალური საღამო.

12 ივნისს „არტისტიულ საზოგადოების“ შენობაში ახალგაზდა მარქსისტთა საგამომცემლო ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა ინტერნაციონალური საღამო-კონცერტი პარტიულ სტამბის შესაძენ ფონდის გასაძლიერებლათ. ამ საღამოს გარშემო მოხდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვა ერების ახალგაზდა ძალთა ერთგვარი დემონსტრაცია. ინიციატორებმა ყოველი ზომები მიიღეს, რომ საღამოსათვის ნამდვილი ინტერნაციონალური და თანამედროვე რევოლიუციონური შინაარსი მიეცათ და მართლაც ასეთი ინტერნაციონალური საღამო პირველია თფილისში.

ფარდის ახდისას სცენაზე გამოჩნდა საღამოსთვის სპეციალურათ დამზადებული (ამხ. ს. შილაკაძის ნახატი) კ. მარქსის სურათი ყვავილებით მორთული; მოკლე ლექცია შ., მეორე სახელმწ. დუმის წევრმა გ. მახარაძემ დაახასიათა ინტერნაციონალი.

ლიტერატურულ განყოფილებაში წაკითხულ იქნა საკუთარი და არა საკუთარი რევოლიუციურ შინაარსის ლექსები და სცენები. სცენაზე გამოვიდნენ დემოკრატიისათვის საყვარელი პოეტები: ვარ. რუხაძე, იოსელი მეუშა, გ. ქუჩიშვილი და სხვ. სცენები წაიკითხა ნ. გოცირიძემ.

შემდეგ კომპ. კ. ფოცხვერაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა შემდეგ თემაზე: „ხელოვნება და რევოლიუცია“.

ბოლოს ამხ. ა. წუწუნავას ხელმძღვანელობით და ამხ. ს. შილაკაძის დახმარებით ნაჩვენები იქნა ცოცხალი სურათები თანამედროვე მომენტიდან, სურათები ორ ნაწილათ განიყოფებოდა: ძველი რეჟიმი და რევოლიუცია. სადეკორაციები თანდათანობით იცვლება: სამეფო ტახტი, მცველი დარაჯები; მაღაროში მომუშავე მუშ-პროლეტარი; სანგრები.. მბჟუტავ სანათთან მჯდომი გამწარებული — მოხუცი დედა. სახრჩობელა მოქანავე მსხვერპლით... უცებ ყველაფერი იცვლება... გამოჩნდება დანგრეული ტახტი, ძირს დანარცხებული ტირანი (ნიკოლოზ მეორის სახით), რომლის ცხედარზედაც მუშა-პროლეტარი და ჯარისკაცი ერთი მეორეს ხელს აძლევენ... მოშორებით გამოსჩანს რევოლიუციის ემბლემა... წმინდა შემოსავალი დარჩა 1039 მან. 40 კაპ., რაც დანიშნულებისათვის გადაეცა გაზ. „ერთობის“ რედაქციას.

ხურდა.

ჩოხატაურის რაიონი.

(გურია).

ორი წელიწადია, რაც გურიაში მეთუთუნეთა კავშირი არსებობს. თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას ამ კავშირმა ეს იქიდან სჩანს, რომ გასულ წელს, როდესაც ბაზარზე თუთუნი ფასობდა 18 მანეთი გურიის მეთუთუნეთა კავშირმა აიღო 25 მ. წელს კი, როდესაც ბაზარზე ფუთი თამბაქო ფასობდა 40 მანეთი—გურიის მეთუთუნეთა კავშირმა აიღო 56 მან. 50 კაპ. თუ კი ავიღებთ საერთოდ გურიის თუთუნის რაოდენობას, გურიაში 15,000 ფუთი თუთუნი მოდის, ესე იგი გასულ წელს გურიის მეთუთუნეთა კავშირმა მოიგო 105.000 მ. წელს კი 240.000 მ. გურიის მეთუთუნენი დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ძალა ერთობაშია, დააწესეს კავშირის გასამაგრებლად 1 პროც. ესე იგი მანეთზე ერთი კაპეიკი. ასე, რომ გურიაში წელს 800 000 მ. თამბაქო გაიყიდა. თუ ზოგიერთ სოფლებს გამოვაკლებთ, რომლებმაც ამ დადგენილებას არ დაემორჩილენ, ამ საპროცენტო გადასახადიდგან შეაგროვა კავშირმა 5 300 მ., რომელიც განაწილდა შემდეგ ნაირად: სტამბის შესაძენათ ს.-დ. გადაიდო 100 მ. 1000 მ. ამავე კავშირის ასაღორძინებლათ, დანარჩენი განაწილდა მოწაფეებზე. ამასთან გურიის მეთუთუნეთა კავშირს დაადგენილი აქვს შეკრას ამიერ კავკასიის მეთუთუნეთა პროფესიონალური კავშირი, რომელსაც ექნება კონტორა თფილისში. მართალია ადგილობრივი ვაჭრუკანები მრავალ გვარ უსაბუთო ხმებს ავრცელებენ მომუშავეებზე, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს.

მეთუთუნეთა ბიურო.

წერილები რედაქციის მიმართ.

ს. ლეხაინდრავო. მადლობას ვწირავთ სიმონ ლ. ხაინდრავას, რომელმაც ჩვენი ბიბლიოთეკას სასარგებლოთ 100 მან. შემოგვწირა. აგრეთვე იმავე პირმა შემოსწირა საზოგადოებას 300 მან. ე—ონ ხაინდრავა დიდ შრომას ეწევა ჩვენი კოოპერატივის დუქნის ასაშენებლათ, რისთვისაც მას მადლობას უძღვნით.

გუთუფურელი დანელია.

—

მადლობას უცხადებთ ამხ. ვარლამ ერქომაიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და წითელმთის სამკითხველოს სასარგებლოთ გამოგზავნა ასი მანეთი პიატიგორსკიდან, შეკრებილი თავის ნაცნობ ამხანაგებ შორის.

მონდობილობით დავით ერქომაიშვილი.

—

ლეხაინდრაო-ონოღიის საზოგადოების სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს ადგილობრივ მკვიდრს ბ. ალექსი კოკაის, რომელმაც კეთილ ინება და სადგურ ევლახში თავიანთ ნაცნობ-მეგობრებ შორის შეაგროვა 110 მან. და 50 კ. სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლათ.

მოკეთე.

—

მადლობას ვუცხადებთ პრაპ. გრიგოლ იესეს-ძე ჰანჯყვაძეს, რომელმაც შემოქმედის სამკითხველოს შემოსწირა 15 მანეთი.

მოლარე კოლია ჩხატარაიშვილი.

—

ს. შუბანი. (გურია). მადლობას უცხადებთ ამ სოფლის მცხოვრებნი მოქალაქე სილევან კაკალიძეს, რომელმაც კეთილინება და საუკეთესო დროშა შესწირა ჩვენს სოფელს სოც. დემ. მ. პარტიის ორგანიზაციისათვის. სოფლის მიერ მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ამხ. ბარნაბა ჩ. ნტალაძეს, რომელმაც 3 მანეთი შესწირა ახლად დაარსებულ სოც. დემ. ქალთა წრეს.

კოლია მდივანი.

—

11 თიბათვეს მოვედი ტყიბულში ნაქერალას მთით რაჭიდან. მე, როგორც გამგეს სხვავის მომხმარებელ საზოგადოებისა, დავალებული მქონდა მეყიდნა სხვადასხვა საჭირო საქონელი თბილისში და ქუთაისში. რადგანაც ჯიბეზე 2500 მანეთი მქონდა თან წამოვიღე რევოლვერი.

ორმოცდაათი ვერსი გამოვიარე, ფრიად მოქანცული ვიყავი, მაგრამ მაინც გავეშურე სადგურზე ბილეთის საყიდლათ. იქ დავინახე რომ ერთი უცნობი მგზავრი რიგს გარეშე იღებდა ბილეთებს და ურიგებდა მგზავრებს. როდესაც მე ეს შევნიშნე, მან ხანჯალზე წაიტანა ხელი და უკმეხათ მიპასუხა: მოშორდი, თვარა ახლავე წელებს დაგაჭრევინებო. მისი გამომეტყველება ამტკიცებდა, რომ ამ მუქარის ასრულება არ გაუჭირდებოდა და მე ინსტიქტიურად რევოლვერს მოვკიდე ხელი. მოძალადე მგზავრი როგორც იქნა სხვებმა გააკავეს, მე კი მომვარდა ტყიბულის ქვანახშირის მილიციის უფროსი ბ. ნიჟარაძე და მთხოვა, რევოლვერი მისთვის გადამეცა, მე მოვითხოვე საქმის გამოძიება, მარა მან ამხსნა რევოლვერი და თან მითხრა—შენს სიტყვას ყურადღებასაც არ მივაქცევო. მე პროტესტი განვაცხადე და მოვითხოვე ოქმი შეედგინათ. ამაზე მომვარდენ ნიჟარაძის მხლებლები—4 თუ 5 კაცი, რომელთაც კინაღამ დამაღრჩეს. ამ დროს ჩემი მოპირდაპირე უცნობი მგზავრი კი თავისუფლათ დასეირნობდა. მე მაინც არ ვეშვებოდი და ოქმის შედგენას მოვითხოვდი. ბ. ნიჟარაძემ ამაზე მტკიცე უარი მითხრა—ახლა არა მცალია და ხრესილზე შევადგენო, ამ სცენების მოწმე იყო მრავალი ხალხი და მათ შორის ტყიბულის რკინის გზის სადგურის უფროსი და კონდუქტორი ზაქარია მეძმარიაშვილი.

დავმორჩილდი ბედს იმ იმედით, რომ ხრესილზე მაინც შეადგენდენ ოქმს. ხრესილს როცა დავუახლოვდით ჩვენთან მყოფმა ჯარის კაცებმა მოითხოვეს ჩემს მოწინააღმდეგესთვისაც აეყარათ იარაღი და თან გაეშინჯათ მისი დოკუმენტები. აქ ნიჟარაძემ ურჩია მას გაქცეულიყო, რაც მან ადვილათ შეასრულა და ხრესილში კომისართან წარმადგინა მარტო მე.

აქ თურმე უარესი დღე მომელოდა.

აქაურმა კომისარმა ბ-ნმა გოგიტიძემ, ყურადღებაც არ მიაქცია ჩემს საბუთებს, დამიწყო ყვირილი და დაჭერით დამემუქრა. ჩავარდი საგონებელში, რევოლვერს აღარა ვჩიოდი, ვფიქრობდი მხოლოდ როგორ დამეხსნა თავი ამ ვაჟბატონებისაგან.

ამ დროს ჩემს ბედათ, მატარებლიდან ჩამოხტა მაზრის კომისარი ბერძულიძე, რომელმაც გულდასმით მოისმინა ჩემი ნალაპარაკევი და კიდეც გასცა განკარგულება, რომ შესაფერი ოქმი შეედგინათ.

ახლა ოქმი შედგენილია და დარწმუნებული ვარ, სიმართლე გამომჟღავნდება. გადავრჩი დაჭერას და ვინ იცის კიდევ რამდენ შეურაცყოფას და ეს იმის წყალობით, რომ შემთხვევით დამესწრო კომისარი ბერძულიძე.

ბართლომე ნეფარიძე.

—

გაზეთ „ერთობის“ № 64 მოთავსებულია ჩემზედ ბრალდება ამ. ხორეთელის მიერ, ვითომ მე ბათუმ ტრაპიზონის გზის მუშებიდგან შეგროვილი 60 მ. ორგანიზაციის გადასაცემათ მიმეთვისებინოს, ამ ცილის წამებისთვის ამ. ხორეთელს ვიწვევ სამედიატორო სამართალში დღიდგან გამოცხადებისა ათი დღის განმავლობაში. ჩემის აზრით ვნიშნავ მედიატორეთ ნიკო ტულუშს. უკეთუ არ გამოცხადდება სამართალში უწოდებ მასვე ისეთ სახელს, რომელიც მე დამარქვა.

ოქროპირ ქანტურია.

—

ფოთის მუშათა საბჭო ღრმა მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც აღმოუჩინეს მას ნივთიერი დახმარება, ფოთის მარგანეცის მუშებმა შესწირეს 15 მან., სერგეევას მუშებმა 700 მან. გ. დიდიას ქარხნის მუშებმა 14 მან., რუსის სანაოსნო საზოგადოების მოსამსახურეებმა 149 მ. 30 კ., ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოსამსახურეებმა 13 მ. 39 კ., რკინის გზის მუშებმა 24 მ. 25 კ., ძმ. საბახტარიშვილის ქარხნის მუშებმა 32 მ., ბოლქვაძის ქარხნის მუშებმა 9 მ., სიორიძის ქარხნის მუშებმა 21 მ., ჰყონიას ქარხნის მუშებმა 18 მ., კაკალაძის ქარხნის მუშებმა 18 მან., ნ. ხუტურის რაიონის მუშებმა 67 მ. 80 კ., მეკამბრე მუშებმა 15 მ., ნოქართა კავშირისაგან 100 მ., სულ 1196 მან. 74 კაპ.

—

მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს ტ დ. ხიდისთავის (გურია) სამკითხველოს შემოსწირეს თავიანთი წვლილი: ინჟინერ მირიან ჯაშმა 100 მ., ილიკო ელიზბარის ძე ქერქაძემ—შორეულ ლომისაველთში გარდაცვლილი ძმის ეპიფანეს ხსოვნის აღსანიშნავათ 75 მ., სევერიანე ლუკას ძე სიხარულიძემ ცოლის დის ნინა თავართქილაძის ასულის კალანდაძისა ხსოვნის აღსანიშნავათ 25 მ., ალექსანდრე იაგორის ძე ცინცაძემ 25 მ., გარდაცვლილ მეუღლის ნინა თავართქილაძის ასულის პატივსაცემად, ვიქტორ კობალაძემ, პეტრე ჯაჯიშვილმა, ილარიონ მახარაძემ და აკაკი სვანიშვილმა 15 მ. გარდაც. ევგენი ქრისტეფორეს ძე სვანიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ. მღ. ნესტორ კალანდაძემ გარ. დიდის პატივსაცემათ 16 მანეთი. ანდრო ნესტორის ძე კალანდაძემ ბებიის ხსოვნის აღსანიშნავათ 25 მანეთი. ბუკნარის მომხმარებელ საზოგადოების „წინრიგისაგან“ 20 მანეთი, რომელიც საზოგადოებამ გადასდო გამგეობის წევრის ე. კ—ძის პატივსაცემათ. აგრეთვე მადლობას ვწირავთ იერემია ლომთათიძეს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც მას ე. ი. იერემია ლომთათიძეს ტრაპიზონში გადასცეს ხიდისთავის სამკითხველოსთვის 140 მანეთი. ლიზა გურგენიძემ 5 მანეთი.

—

თფილისის განმანაწილებელ პუნქტისაგან ყარამან სერ. ძე კალანდაძის ხსოვნის აღსანიშნავათ მიღებულია ამხანაგების მიერ ადგილობრივათ შეკრებილი 51 მანეთი ხიდისთავის სამკითხველოს სასარგებლოთ, რისთვისაც მადლობას ვწირავთ მათ.

ხიდისთავის სამკითხველოს გამგეობა.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი მელიტონ ნანიკოს ძე ჩხაიძე მსახურობდა ქალაქ ორენბურგში მე-104 ქვეითა სათადარიგო პოლკში, მე 6 როტაში, მე-4 ზვოდში. გთხოვთ უმორჩილესათ თუ ვინმე რამე იცის გვაცნობოთ ამ მისამართით: Кут. губ. ст. Ланчхуты Ацана, Нанико Гавриловичу Чхаидзе.

— ჯარის კაცი ლავრენტი მსხილაძე მსახურობდა 264 გიორგიევის პოლკში მე-7-ე როტაში, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ 2-რე პოლემტის კამანდა ნიკალაი მსხილაძეს.

— ჯარის კაცი ივანე ელიზბარის ძე ბერიშვილი მსახურობდა კავკასიის ფრონტზე მე 28 კავკასიის სამხედრო გადამტან გადამტან სანიტარულ ტრანსპორტში; გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. ჩოხატაური იესოფ გიორგის ძე მეგრელიშვილს.

— ჯარის კაცი ვარლამ ივანეს ძე ოდილავაძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში მე-13 კავკასიის მსროლელ პოლკში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს ამ მისამართით: Кавказ. армія 4 автомобильная рота Яс. Одилавадзе.

— ჯარის კაცი ისაკი გიტოს ძე პაპავა მსახურობდა კავკასიის ჯარში, მეორე კავკასიის სამხედრო დორუჟნის ატრიადში, მესამე როტაში, მეოთხე ზვოდში. ვთხოვ თუ რამე იცის ვინმემ მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. ოზურგეთში, საკანდიტერო „პროგრესში“. ფილიპე ღლონტთან.

— ალექსანდრე სეფეს ძე სურგულაძე მსახურობდა სპარსეთში მე-4 კავკასიის მოსაზღვრე ქვეითა პოლკში, მე-12 სოტნაში, ვთხოვ ვინც იცის რამე მაცნობოს ამ მისამართით: Озургеты Артему Меквабишвили გადასაცემით ფილონი სურგულაძეს.

ჩვენი ფოსტა.

სიღნაღი. ი. კრაწაშვილს. ლ. ასათიანი ქალაქის თაობაზე არ თანხმდება.

რედ.-გამომცემელი მღ. მ. ბოხოხაძე.

1-ლი თფ. ინტერნაციონალური შრომის არტელი

1) **იღებს ყოველგვარ სამუშაოს:** სახარატო-მექანიკურ სასლესარო-საწყალსადენო, სპილენძისა, ცინკისა და ქვიტის სამუშავრებს.

2) **იღებს თავის-თავზე მოწყობას შენობებისა, სადგურებისა და სადეზინფექციო კამერებისა.** ამზადებს სხვა და სხვა სისტემის წყლის სადუღ ქვაბებს და ავტომობილის რადიატორებს და ფარორებს, აგრეთვე აწვდის მსურველთ სპეციალისტ ხელოსნებს დღიურათ, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ.

მისამართი: გოლოვინის ქუჩის ბოლოში, ფედოსიევის ქუჩა № 1. 6—1

მიიღება ხელის მოწერა

ქართულ სასწავლო ჟურნალ

შინა გიმნაზია უნივერსიტეტ-ზე

ჟურნალის დანიშნულებაა—ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის სწავლა განათლებას **შინ სწავლითა!**

ვინც უნდა იყოთ თქვენ—მანოვანი, მუშა თუ მოსამსახურე, იცხოვრეთ და იმუშავეთ სადაც ხელს გაძლევსთ, მაგრამ იმავე დროს ერთი წამითაც არ დაივიწყოთ ჩვენი ბრძნული ანდაზა—„სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო“—და თითო საათი მაინც ისწავლეთ სამშობლო ენაზედ ჩვენი ჟურნალით. იცოდეთ, რომ ასეთი თვით სწავლით უფრო ადვილად შეხვალთ მეცნიერებათა სამეფოში, ვიდრე სხვა ათასი წიგნებითა და სკოლებითა.

არც ბევრს რასმე ვთხოულობთ ამისათვის: საჭიროა მხოლოდ იცოდეთ **ქართული წერა-კითხვა და ათასამდის ანგარიში,** და თუ არც ეს იცით, მაინც ნუ შეკრთებით—ისწავლეთ ესენი ვინმე მცოდნის დახმარებით და დანარჩენს თითონაც კარგად შეისწავლით ჩვენი ჟურნალით.

ჟურნალი „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი“ გამოვა ჯერ-ჯერობით თვეში ერთხელ, არა ნაკლებ 32 გვერდისა თვითეული ნომერი. ფასი ამ წლის დამლევამდე გაგზავნით ღირს **ხუთი მანეთი.** პირველი ნომერი გამოვა 15-ს მკათათვეს. ფული გთხოვთ ყველას (თფილისელებმაც) ფოსტით გამოგზავნოთ ამ მისამართით: въ Тифлисъ, Тумановскій пер., № 24, Ивану Павловичу Ростомашвили. ჟურნალიც ფოსტით გამოგეგზავნებათ.

რედაქტორი **ივ. როსტომაშვილი.**

(1—1) გამომცემლობა **„შინა-სწავლა“.**

განცხადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მუშათა საკითხის გამო** ამა წლის თიბათვის 15-დან ბარგის მიღება და მიცემა, დოკუმენტების აღება და შემოწმება და ბარგის გამოწერა ქვემორე ნათქვამ დროს მოხდება.

1) სადგურზე ბარგის მიტანა უნდა იქმნეს ზაფხულში (აპრილის 1-დან ღვინობისთვის 1-დან) დილის 6 საათიდან დღის პირველ საათამდის, ზამთრობით კი (ღვინობისთვის 1-დან) დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის.

2) ბარგის მიღება რკინის გზის მიერ ზაფხულში მოხდება დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის. ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდის.

3) ვაგონის დაცლა მოხდება დილის 6 საათიდან დღის 2 საათამდის, ზაფხულობით. ზამთრობით კი დილის 8 საათიდან 4 საათამდის. ამ ხანში 10—11 საათამდის მუშაობა შეწყვეტილი იქნება. უქმ დღეებში კი 6—11 საათამდის.

4) ბარგის წაღება სადგურიდან მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

5) დოკუმენტების და ქვითრების აღება და შემოწმება გასაგზავნ ბარგისა მოხდება დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის ზაფხულობით, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

6) ბარგის ამოწერა კასებში მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 2 ნახ. საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 3 ნახ. საათამდის.

7) სამხედრო ბარგის ოპერაციები საომარ მოქმედებით გამოწვეული ისევ ძალაშია (მორიგეობა).

8) უპრალო ბარგის (Навалочный) ისევ ისე იქნება, როგორც იყო (მორიგეობა).

9) ბარგს რკინის გზა არ მიიღებს და პატრონს არ ჩააბარებს შემდეგ დღეებში: იანვრის 1 და 6 ში, მარტის 25 ში, აღდგომისა და შობის პირველსა და მეორე დღეებში და იმ საერთო სახალხო დღესასწაულებში, რაც შეიძლება შემდეგში დაწესდეს. იმის გარდა თვეების მერე კი კვირადღეობითაც.

10) ქვემორე მოხსენებულ დღეებში კი ბარგის საქმე რკინის გზის სადგურზე დილის 6—12 საათამდის იწარმოებს, ასეთი დღეებია: კვირა დღე—ომის დროს, ძნების კვირის ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს, თიბერვლის 2-ს, მარიამობისთვის 6 და 15-ს, ენკენისთვის 8 და 14 ს, ღვინობისთვის 1 და 22 ს, გიორგობისთვის 21 და ქრისტეშობისთვის 24-ს. ამ დღეებში ბარგის მოტანა დილის 11 საათზე გათავდება.

3—1

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1.